# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 12 სექტემბერი 2007 №210 (3133)

ფასი 50 თეთრი

# საქართველო არის ესე!

## გუშინ არგენტინამ მოიგო, მაგრამ ომი ვაჟკაცებს არ წაუგიათ




AFP ფოტოები

საქართველოს ნაკრების თამაშებს
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ნაციონალური ბიბლიოთეკა

# საქართველო ბაქოში თბილისზე ჩავიდა
## გავუტანოთ აზერბაიჯანს!

**საქართველოს** ეროვნული ნაკრები გუშინ შუადღით ჩაფრინდა ბაქოში და სასტუმრო „გრანდ ოტელ ევროპაში" დაბინავდა, რომელიც თბილისის პროსპექტზე მდებარეობს.

კლაუს ტოპმიოლერმა სალამოს „ტოფიკ ბახრამოვზე" ავარჯიშა გუნდი და ამავე სტადიონზე დღეს ჩვენი დროით 20 საათზე დაიწყება ამხანაგური მატჩიც: ევროპაში წაგებაშეგუებული მეზობლები, აზერბაიჯანი და საქართველო ხვდებიან.

ტოპის განკარგულებაში 17 ფეხბურთელია, რომელთაგან რვა საქართველოს ჩემპიონატში თამაშობს.

საქართველო — აზერბაიჯანი სანაკრებო დონეზე ხუთჯერ შეხვედრიან ერთმანეთს: ორ-ორჯერ მოიგეს და ერთხელაც ფრედ ითამაშეს.

აღსანიშნავია, რომ ამ ხუთიდან სამი თამაში აზერბაიჯანში იყო და ქართველებს სტუმრად გოლი არ გაუტანიათ: ორჯერ 0:1 წააგეს და ერთხელაც 0:0 გაეყარნენ მასპინძლებს. ისიც ვთქვათ, რომ საქართველოს ამ შეხვედრებში არასოდეს უთამაშია ოპტიმალური შემადგენლობით.

ვერაფერს იტყვი, დღეს გოლის გატანა პრესტიჟის ამბავიცაა...

**ილია ნანობაშვილი**

# დინიევის შეკრება-გამოკლება

**საქართველოს** ნაკრები დღეს ამხანაგურად გაეჯიბრება აზერბაიჯანელებს, რომლებიც ამ მატჩს დანაკლისით შეხვდებიან.

„ოლიმპიკის" თავდამსხმელი ფასუჰ ისმაილოვი ნაკრებში კლუბმა არ გაუშვა — „ოლიმპიკს" გასულ უქმეებზე პირველი ტურის გადადებული მატჩი ჰქონდა და ფეხბურთელი კლუბს სჭირდებოდა.

ამავე მიზეზით ვერ შეუერთდა ნაკრებს თურქული „სივასპორის" ნახევარმცველი ილარ გურბანოვი — „სივასპორმაც" კალენდარული მატჩი ითამაშა.

აზერბაიჯანელთა თავკაც შაჰინ დინიევს ტრავმის გამო კიდევ ერთი ნახევარმცველი დააკლდება — „ხაზარის" ემინ გულიევი.

როგორც აზერბაიჯანული პრესა წერს, ამ ვითარებამ დინიევი ერთობ დააფიქრა, წამყვან მოთამაშეთა შემცვლელის პოვნა არცთუ იოლიაო.

წამყვანი ფეხბურთელების გარეშე შაჰინ დინიევმა ქართველებთან თამაშამდე მინი-ტესტი მოაწყო და აზერბაიჯანულ კლუბ „გიანჯაბირლიგის" გაეჯიბრა. ნაკრებისა და კლუბის მატჩი ეროვნულის გამარჯვებით, 2:1 დასრულდა. გოლები ხაგანი მამედოვმა და სამირ ალიევმა გაიტანეს.

„ამ თამაშის შედეგი არაფერს წყვეტს, მაგრამ მოგება მაინც გვინდოდა. ფეხბურთელებისგანაც ბევრს არაფერს ვითხოვდი: მთავარი მიზანი იყო, ბურთი დიდხანს ეკონტროლებინათ, რაც კარგად გამოგვდიოდა. ძალიან ცხელი ამინდი იყო და ფეხბურთელებმა შესაძლებლობები ვერ გამოამჟღავნეს, თუმც ამის შანსი მათ კიდევ ექნებათ" — განაცხადა დინიევმა.

შანსში კი დინიევი დღევანდელ მატჩს თუ გულისხმობდა...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**


შაჰინ დინიევი

# ევროპის 2009 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი


ბადრი კეთილაძის ფოტო

გელა შეყილაძე და პეტარ სეგრტი

### IV ჯგუფი

ალმუნეკარი. 4 000 მაყურებელი

**ესპანეთი 4:0 საქართველო**

1:0 ხისკო (13), 2:0 ხურადო (45პ), 3:0 გრანერო (68), 4:0 ადრიანი (80)

**ესპანეთი:** რობერტო, მ. ტორესი, პიკე, ტორეხონი, კრესპო, რაულ გარსია (გრანერო 63), მარტინესი, ხურადო, სისინიო (ალკარო 73), ხისკო (ადრიანი 37), კაპელი

მწვრთნელი: ინიაკი საესი

**საქართველო:** თევდორაძე, თომაშვილი. გ. კაშია, ფოფხაძე, ნავალოვსკი, ლობჟანიძე, ლვინიანიძე, აფრიამაშვილი (კახელიშვილი 26), ბ. გოცირიძე (დვალიშვილი 63), გ. მერებაშვილი (თავბერიძე 90), დაუშვილი

მწვრთნელი: პეტარ სეგრტი

გაფრთხილება: თომაშვილი, კაშია

მსაჯი: მ. სტრომბერგსონი (შვედეთი)

# ესპანეთმა კაპელა იმღერა

**სანამ** მატჩი და, შესაბამისად, ქართველთა დაბრიყვება დაიწყებოდა, „სევილიას" გარდაცვლილი ახალგაზრდა ფეხბურთელის, ანტონიო პუერტას, ხსოვნას წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი.

პეტარ სეგრტის გაწვრთნილ 21-წლამდელებს სენსაციის პაწაწკინტელა შანსიც არ მისცემიათ, მასპინძლები დიდ უპირატესობას ფლობდნენ და განსაკუთრებით, „სევილიას" დიეგო კაპელი ყოჩაღობდა, რომელმაც სამ გოლში მიიღო მონაწილეობა. მე-13 წუთზე კაპელის დაწყებული შეტევა ხისკომ აქცია გოლად, პირველი ტაიმის მიწურულს კაპელმა პენალტი მოინადირა და მადრიდის „ატლეტიკოს" გამთამაშებელ ხურადოს გაატანინა, მესამე ბურთი გრანერომ მინდორზე შესვლიდან ხუთ წუთში შეაგდო, 90-ზე კი კაპელის პასს ადრიანი გამოეხმაურა და ქართველთა წვალებას წერტილი დაუსვა.

ქართველთა ძირითად შემადგენლობაში 6 (!) ნომინალური მცველი იყო, რაც თავისთავად მიანიშნებდა იმას, რომ ჩვენები ერთთავად არგაშვებაზე ზრუნავდნენ და ეგებ, ესპანელთა კარისკენ წაჩხვლეტაც უნდოდათ, მაგრამ სურვილი რომ ძალასავით აღმართს ხნავდეს...

სეგრტის 21-წლამდელებმა შესარჩევ ციკლში მესამე მატჩი წააგეს და გული იმით მოვიფხანოთ, რომ ჯგუფის ფავორიტ ესპანეთთან ორივე შეხვედრა მოვილიეთ. ახლა შედარებით იოლი. მატჩები რჩება — თუმცა მცნება „იოლი მატჩი" საერთოდ არსებობს ქართული ფეხბურთისთვის?!

პეტარ სეგრტი: სამწუხაროდ, ჩვენი შეცდომების გამო დავისაჯეთ: ოთხივეჯერ გაუმართლებლად დავკარგეთ ბურთი. მეტოქეს სტანდარტული სიტუაციებით შანსი მივეცით და..."

**ილია ნანობაშვილი**

**პოლონეთი 1:0 ყაზახეთი**

1:0 პაველჩიკი (59)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| პოლონეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| საქართველო | 4 | 1 | 0 | 3 | 3:13 | 3 |
| ყაზახეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

www.pfl.ge

დამტკიცდა დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის „ყაზბეგის" გათამაშების ჯგუფური ეტაპის მატჩების თარიღები.

### I ტური
18 სექტემბერი
ამერი – ტორპედო
მესხეთი – სპარტაკი
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი
ოლიმპი – მერანი
ბორჯომი – ბათუმი
ზესტაფონი – კახეთი
მგლები – დილა
26 სექტემბერი
დინამო – მაღაროელი

### II ტური
2 ოქტომბერი
ამერი – მესხეთი
დინამო – ვიტ ჯორჯია
მერანი – ბათუმი
ოლიმპი – ბორჯომი
კახეთი – დილა
ზესტაფონი – მგლები
3 ოქტომბერი
ტორპედო – სპარტაკი
მაღაროელი – ლოკომოტივი

### III ტური
23 ოქტომბერი
სპარტაკი – ამერი
24 ოქტომბერი
მესხეთი – ტორპედო
ვიტ ჯორჯია – მაღაროელი
ლოკომოტივი – დინამო
ბორჯომი – მერანი
ბათუმი – ოლიმპი
მგლები – კახეთი
დილა – ზესტაფონი

### IV ტური
31 ოქტომბერი
დილა – მგლები
1 ნოემბერი
სპარტაკი – მესხეთი
მაღაროელი – დინამო
ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია
მერანი – ოლიმპი
ბათუმი – ბორჯომი
კახეთი – ზესტაფონი
ტორპედო – ამერი

### V ტური
4 ნოემბერი
დილა – კახეთი
5 ნოემბერი
სპარტაკი – ტორპედო
მესხეთი – ამერი
ლოკომოტივი – მაღაროელი
ვიტ ჯორჯია – დინამო
ბათუმი – მერანი
ბორჯომი – ოლიმპი
მგლები – ოლიმპი
მგლები – ზესტაფონი

### VI ტური
27 ნოემბერი
ტორპედო – მესხეთი
ამერი – სპარტაკი
მაღაროელი – ვიტ ჯორჯია
დინამო – ლოკომოტივი
მერანი – ბორჯომი
ოლიმპი – ბათუმი
კახეთი – მგლები
ზესტაფონი – დილა

# ევროპის 2009 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

### I ჯგუფი
ალბანეთი 0:1 იტალია
ხორვატია 3:2 აზერბაიჯანი

### II ჯგუფი
ჩეხეთი 8:0 ლიხტენშტაინი

### III ჯგუფი
ბულგარეთი 0:2 ინგლისი
პორტუგალია 4:0 ჩერნიგორია

### V ჯგუფი
მაკედონია 1:0 ესტონეთი

### VI ჯგუფი
ლიტვა 0:0 სლოვენია

### VII ჯგუფი
სლოვაკეთი 1:1 ავსტრია
ისლანდია 0:0 ბელგია

### VIII ჯგუფი
ლატვია 2:0 სან მარინო

### IX ჯგუფი
მოლდოვა 1:0 ისრაელი

### X ჯგუფი
რუმინეთი 3:0 ბოსნია

# ინგლისი

### კონფერენსლიგა
### IX ტური
გრეისი 0:0 ოქსფორდი
ჰალიფაქსი 1:0 უოკინგი

# ამხანაგური მატჩები

ავსტრალია 0:1 არგენტინა
შვეიცარია 3:4 იაპონია
ავსტრია 0:2 ჩილე
ს. არაბეთი 5:0 განა
ხიმნასტიკი 2:1 ბარსელონა

## კალათბურთი



# ევროპის ჩემპიონატი

ესპანეთი. 3-16 სექტემბერი. მეორე ჯგუფური ეტაპი

### მეორე ჯგუფური ეტაპი. E ჯგუფი

ხორვატია 70:83 რუსეთი
საბერძნეთი 85:67 პორტუგალია
ესპანეთი 99:73 ისრაელი

# ვიცი, რა ხდება საქართველოში

## არველაძე ხედავს, რომ ტოპმიოლერი ხედავს

**შოთა არველაძემ ამსტერდამში მუხლზე მეორე ოპერაცია გაიკეთა და გუშინ დაბრუნდა ვალენსიაში, მაგრამ, აბა, ჯერ რა დროს „ლევანტეში" თამაშია. ოპერაციამ კარგად ჩაიარა, თუმც 34 წლის ქართველი ბომბარდირი დაახლოებით ორი თვის შემდეგ დაიწყებს თამაშს. ჯანმრთელი თუ ტრავმიანი, ნაკრების კაცი, თუ უნაკრებოდ მყოფი — შოთა შოთაა და მისი თემა ყოველთვის საინტერესოა. არველაძეს ჯერ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ვკითხეთ, მერე კი, ცხადია, სანაკრებო ამბებზეც ვთქვით...**

— ექიმებმა მითხრეს, რომ ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა, თუმც პირველი ოპერაციის შემდეგაც ასე თქვეს და მეორე მაინც დამჭირდა. ვნახოთ... წესით, მინდორს ორ თვეში უნდა დავუბრუნდე.

**— ცხადია, საქართველო — უკრაინის მატჩს ტელევიზორში ნახავდი...**

— ვნახე. სიმართლე გითხრათ, თამაში ნაკლებად მომეწონა, ვერ იყო ისეთი ფეხბურთი, როგორსაც ველოდი. ისე, საქართველოს ნაკრები არაფრით ჩამოუვარდება უკრაინისას. უკრაინელებმა ფეხბურთში ძალიან დიდი ფული ჩადეს, საქართველოში კი ახლა იწყებს ფეხბურთი ფეხზე წამოდგომას.

**— კლაუს ტოპმიოლერმა საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე რამდენიმე ფეხბურთელს უხმო, რასაც აქამდე ერიდებოდა...**

— ჩვენ ყველანი ეროვნულ ჩემპიონატში არ ვთამაშობდით?! როცა ჩათვალა ამ კაცმა საჭიროდ, მაშინ გამოიძახა. მერწმუნეთ, რომ საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს ნაკრების მწვრთნელები აკვირდებიან.

**— როგორ ფიქრობთ ქართული ფეხბურთი ვითარდება?**

— საქართველოში უკვე კეთდება სტადიონები, ხალხიც ნელ-ნელა უბრუნდება სტადიონს. ვიცი, რამდენი გულშემატკივარი დადის ზესტაფონში, ზუგდიდში... რაც მეტი ხალხი მივა სტადიონზე, ფეხბურთელებისთვის უკეთესია. სად ასი კაცი რომ მივა და სად ექვსი ათასი? გულშემატკივარი ზოზინის საშუალებას არ მოგცემს და შემოგიძახებს. ბევრ სასიკეთოს გვგმავს პროფლიგა და მალე ეროვნული ჩემპიონატიც უკეთესი სანახავი იქნება. ბუნებრივია, ნაკრებშიც მეტი ფეხბურთელი მოხვდება.

**— გუშინ ტოპმიოლერმა „სარბიელს" უთხრა, საქართველოს ნაკრებს მომავალ ციკლშიც დიდი სიამოვნებით ვუხელმძღვანელებო...**

— ტოპმიოლერი უდავოდ კარგი სპეციალისტი რომ არის, საკამათო არ უნდა იყოს. ამას თუ ამბობს, ესე იგი, მომავალს ხედავს და იმასაც ამჩნევს, რომ სახელმწიფო ფეხბურთის განვითარებით დაინტერესებულია. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში იმსჯელებენ და იმედი მაქვს, სწორ გადაწყვეტილებასაც მიიღებენ.

**— ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ესპანელ თანატოლებთან თამაშის საყურებლად ხომ არ მიდიხარ?**

— მინდოდა წასვლა, მაგრამ აქედან შორსაა, თანაც დღეს ჩამოვედი ამსტერდამიდან და დაღლილი ვარ. ამალამ კი ქართველი მორაგბეების თამაშს არგენტინელებთან აუცილებლად ვუყურებ...

**ნუკრი ლოლაძე**





# მეტი ხარისხი!

## დავით სირაძეს უკრაინა გერმანიაშიც მიულოცეს

**„შოთა არველაძის ნაკრებიდან წასვლა რომ პრობლემებს მოგვაყრიდა თავზე, ეს ვიცოდით. მისი სრულფასოვნად შეცვლა დღეს წარმოუდგენელია, მაგრამ ოპტიმალურ ვარიანტს ვეძებთ" — კლაუს ტოპმიოლერს არაერთხელ უთქვამს ეს სიტყვები. თავად არველაძემ საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელის დაჯილდოებაზე ტოპის სანდრო იაშვილისკენ მიუთითა, მაგრამ შვეიცარიული „თუნის" თავდამსხმელს ნაკრებში ჯერ ვერ ვხედავთ, დავით სირაძემ კი წლეულს ეროვნულში უკვე მესამე გადამწყვეტი გოლი შეაგდო და ჯერჯერობით, მართლაც ის მოჩანს მთავარ ცენტრფორვარდად — მიუხედავად იმისა, რომ სირაძე ტოპგუნდში არ თამაშობს და სადაც თამაშობს, იქ გუნდის ლიდერადაც არ ითვლება. დავითის ბოლო წუთებზე გატანილმა გოლმა უკრაინასთან ფრე მოუტანა საქართველოს ნაკრებს და ინტერვიუც აქედან დავიწყეთ...**

**— კარგი და, რაც მთავარია, საჭირო გოლი გაიტანე...**

— გიორგი დემეტრაძემ რბილად ჩააწოდა, ვიგრძენი, სადაც მოფრინავდა ბურთი და ალღომ არ მიმტყუნა. შეიძლება ითქვას, გაგვიმართლა. უკრაინელებს ხომ მანამდე ორი ასპროცენტიანი მომენტი ჰქონდათ და 0:2 თუ გახდებოდა, მერე...

**— შენი და ლევან ყენიას შეცვლაზე შესვლით ნაკრების თამაში გამწვავდა, თუმც მომენტებს მაინც ვერ ქმნიდით...**

— უკრაინელებმა უპირატესობა შეგნებულად დათმეს, საკუთარ საჯარიმოს მისადგომებთან მაგრად იდგნენ და ამიტომაც იყო, რომ ხიფათის შექმნას ვერ ვახერხებდით. ბოლო წუთებზე უკრაინელი მცველები ხან აუტზე, ხან კუთხურზე იგერიებდნენ ბურთს. ეტყობა, დაიღალნენ და ჩვენც ვისარგებლეთ.

**— ლუქსემბურგთან 0:0-ის შემდეგ იგივე შედეგის უკრაინასთან გამეორება ურიგო არაა, მაგრამ თამაშის ხარისხი?**

— ვფიქრობ, ძალიან ცუდადაც არ გვითამაშია. უკრაინასთან მომენტები ჩვენც გვქონდა და ვერავინ იტყვის, რომ დაუმსახურებელი ქულა ავიღეთ. ლუქსემბურგი ცოტა სხვა მომენტი იყო, მათ ათი თამაშიდან ათს მოვუგებდით, მაგრამ არ შევიდა ბურთი კარში. თანაც, ამხანაგური თამაშის ოფიციალურთან შედარება არ გამოვა, მით უმეტეს, სად ლუქსემბურგი და სად უკრაინა. მე არ ვამბობ, რომ უკრაინასთან საშინაო ფრე მაგარი შედეგია, მაგრამ შესარჩევ მატჩებში ესეც არ გვქონდა.

**— კლაუს ტოპმიოლერმა რა გითხრათ თამაშის შემდეგ?**

— განსაკუთრებული არაფერი, გოლი მომილოცა. სხვათა შორის, ახლა ჩამოვედი გერმანიაში და აქაც მოვასწარი მილოცვების მიღება, თანაგუნდელებს უყურებიათ ტელევიზორში საქართველო — უკრაინის თამაშის მომენტები.

**— ნაკრების დებიუტანტებზე, ყენიასა და ტატანაშვილზე რას იტყვი?**

— ტატანაშვილი საქართველოს ჩემპიონატში ერთ-ერთი გამორჩეულია და ტყუილად რომ არ აუყვანიათ ნაკრებში, ეს ვარჯიშებზეც გამოჩნდა — არავისზე ნაკლებად არ გამოიყურებოდა. ყენია კი ნამდვილად ძალიან ნიჭიერია და ვფიქრობ, დრო მოვა, როცა ნაკრების ლიდერი გახდება.

**— შესარჩევ ციკლში საქართველოს სამი მატჩი დარჩა და როგორ ფიქრობ, ექვსი ქულის აღების შანსი არის?**

— რა თქმა უნდა. შოტლანდიასთან და ლიტვასთან შინ მოგება ნამდვილად შეგვიძლია.

**— აზერბაიჯანში რატომ არ წაჰყევი ნაკრებს?**

— „პადერბორნი" „კაიზერსლაუტერნს" სტუმრად ხვდება. გოლი არ გაგვიტანია ჩემპიონატში და უნდა გავტეხოთ ნავსი. წინასწარ ვიყავით შეთანხმებული კლაუს ტოპმიოლერთან, რომ მხოლოდ ოფიციალურ მატჩს ვითამაშებდი.

**— „პადერბორნს" ორი თავდამსხმელი ტრავმირებული ჰყავს და სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე არავინ შეუძენიათ?**

— „ზალცბურგიდან" დაიმატეს სერბი ფორვარდი, ხვალ ვარჯიშზე გავიცნობ.

**ილია ნანოგაშვილი**

# გოგუა ტყუპი მატჩით დაბრუნდა

**მენისკის** ოპერაციაგადატანილმა გოგიტა გოგუამ თითქმის სამთვიანი შესვენების შემდეგ ითამაშა — მისმა „სატურნმა" გუშინწინ „მოსკვას" 4:1 სძლია ამხანაგურად, „რუბინთან" კი 0:1 წააგო.

საქართველოს ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი ორივე მატჩში შეცვლაზე შევიდა, დედაქალაქელებთან ერთი ტაიმი ითამაშა, ყაზანელებთან კი — 72 წუთი.

რამდენად მალე შევა გოგიტა სასურველ ფორმაში, ეს ამხანაგურზე მეტად, პრემიერლიგის მატჩებში უფრო გამოჩნდება.

**ილია ნანოგაშვილი**



გოგიტა გოგუა (მარცხნივ) „რუბინთან" მატჩში



სერგეი ნაზარენკო ასეც იბრძოდა

გელა ქართულიას ფოტო

# საუკეთესო ანტიგმირი

## ნაზარენკომ უკრაინა ასეც გაალოცა და ისეც

საქართველო — უკრაინის ევროშესარჩევი მატჩისას (1:1) უკრაინელთაგან გამოსარჩევი მათი ლიდერი ანდრეი შევჩენკო კი არა, „დნიპროს“ ნახევარმცველი სერგეი ნაზარენკო იყო. მართალია, ნაზარენკომ რეალური მომენტი ვერ გამოიყენა, მაგრამ თავისიანებში მაინც ერთ-ერთი საუკეთესო იყო. უკრაინაში დაბრუნებულ ნაზარენკოს ჟურნალისტები გაესაუბრნენ...

— რით ახსნით იმას, რომ გუნდს თბილისში სისწრაფეც აკლდა და ხარვეზებიც შეიმჩნეოდა?

— ვერ დაგეთანხმებით. გოლამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა. როდესაც დავწინაურდით, უკან დავიხიეთ და კონტრშეტევაზე გადავაწყვეთ სქემა...

— გოლამდე? ეს ხომ საწყისი შვიდი წუთია...

— მაშინ ასე ვიტყოდი: საწყისი 20-25 წუთი.

— გოლის შემდეგ მწვრთნელისგან მიიღეთ დავალება, რომ ტერიტორიული უპირატესობა მეტოქისთვის დაგეთმოთ?

— ასეთი დავალება არ ყოფილა. პირიქით, ვცდილობდით, მეორე ბურთი გაგვეტანა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შევძელით და ბოლოს სიმძიმეც დაგვაწვა.

— მართალია, რომ მოედნის ხარისხის გამო ფეხბურთელებმა უკმაყოფილება გამოთქვით?

— მე არავითარი პრეტენზია არ მქონია — მოედანი ყველასთვის ერთნაირია.

— და რამ შეგიშალათ ხელი, მაქსიმ კალინიჩენკოს პასის შემდეგ გოლის გასატანად?

— შორეულ კუთხეში დავუმიზნე, მაგრამ ბურთი შუაში წავიდა და მეკარემ რეაგირება მოასწრო.

— თქვენ კარგად ურტყამთ საჯარიმოებს, თბილისში კი გაალცუდეთ...

— დარტყმისას ტექნიკური შეცდომა დავუშვი.

— არადა, კალინიჩენკოსაც სურდა იმ ჯარიმის დარტყმა...

— როგორც ხედავთ, მშვიდობიანად მოვრიგდით.

— სამწვრთნელო შტაბმა საკმაოდ საინტერესო ტაქტიკით გათამაშათ — შევჩენკოს თქვენ და ანდრეი ვორონინი სიღრმიდან ეხმარებოდით...

— ჩვენ დაცვითი ფუნქციების შესრულებაც გვევალებოდა. მეტოქის შეტევისას ანდრეი მარცხენა ფლანგს აზღვევდა, მე — მარჯვენას. იმ შემთხვევაში, თუ კუთხურის მოსაწოდებლად ფლანგს შევიცვლიდი, ვორონინი ჩემს ადგილზე გადმოდიოდა.

— ამ ფრით გუნდი დემორალიზებულია?

— ასე არ ვიტყოდი, წინ მნიშვნელოვანი მატჩი გველის. იტალიასთან მოგება ძალიან გვჭირდება. თბილისური მატჩის შემდეგ ოლეგ ბლოხინმა გვითხრა, რომ წარუმატებლობა დაგვივიწყოთ, თავები არ ჩამოვუშვათ და იტალიასთან მატჩზე ვიფიქროთ.

— ჟურნალისტებმა თქვენი თამაში 6,0 ქულით შეაფასეს. პირადად თქვენ კმაყოფილი ხართ?

— როდესაც გუნდი კარგ შედეგს ვერ აჩვენებს, ყველა ფეხბურთელმა ცუდად ითამაშა.

— რამდენი დრო სჭირდება ნაზარენკოს, რათა ნაკრებშიც ისე ითამაშოს, როგორც კლუბში?

— ეს ყველაფერი მწვრთნელის ნდობიდან გამომდინარეა. საქართველოსთან მენდო და რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე. მინდა, მომავალშიც ასე იყოს.

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

## ჩვენი მეტოქეები

# ჩვენ ვისვენებთ. თქვენ?..

დღეს ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპის მეორე ჯგუფში სამი მატჩია. თანაჯგუფელთაგან მხოლოდ საქართველოს ნაკრები დაისვენებს, დანარჩენი ექვსეული კი სამ წყვილს შექმნის: საფრანგეთი — შოტლანდია; უკრაინა — იტალია; ლიტვა — ფარერები.

სანამ გუნდების ამ მატჩებისთვის მზადებაზე ვიტყოდეთ, სატურნირო მდგომარეობა მიმოვიხილოთ: ყველაზე კარგად საქმე ფრანგებს აქვთ — დარჩენილ ოთხ მატჩში ორი სუსტებთან, ლიტვასთან და ფარერებთან ელით და მათი დაბრიყვება არ გაუჭირდებათ, თუმც დღევანდელი თამაშიც გადამწყვეტ როლს ითამაშებს. შოტლანდიასთან მოგების შემთხვევაში ფრანგები ავსტრია-შვეიცარიაში წასვლას თითქმის გაინაღდებენ და ბოლო ტურის მატჩს (სტუმრად უკრაინასთან) ფორმალობად აქცევენ.

მეორე ადგილზე მყოფ შოტლანდიას შანსი კი აქვს, მაგრამ მძიმე კალენდარი დარჩა. ფრანგების გარდა სქოთები საქართველოს ესტუმრებიან და შინ უკრაინა-იტალიას უმასპინძლებენ, რომლებიც თავის მხრივ ფინალურ ეტაპზე გასვლას ეშურებიან.

„აზურის“ ორი რთული გასვლითი მატჩი დარჩა: დღეს უკრაინასთან და ბოლოსწინა ტურში შოტლანდიასთან, ორი საშინაო მატჩი კი საქართველო-ფარერებთან ელის.

შედარებით ქულათა მცირე მარაგი აქვს უკრაინას, თუმც თამაშით ნაკლები. თუ დღეს უკრაინა შინ იტალიას მოუგებს, შანსი და მძიმე მატჩები რჩება — გასვლა შოტლანდია-ლიტვაში და შინ საფრანგეთთან. ფარერებთან საშინაო მატჩი ჩასათვლელადაც არ ღირს.

### საფრანგეთი — შოტლანდია

**სავარაუდო შემადგენლობები:**

**საფრანგეთი:** ლანდრო, ლ. დიარა, ესკუდე, ტურამი, აბიდალი, მაკელელე, ვიეირა, რიბერი, მალუდა, გოვუ, ანელკა

**შოტლანდია:** გორდონი, ჰატონი, მაკმანუსი, ვეირი, მაკიაველი, ბრაუნი, ფერგიუსონი, ფლეტჩერი, მაკკალოხი, ბოიდი, მაკფადენი

ფრანგებს მთავარი დამრტყმელი ძალა, ტიერი ანრი დისკვალიფიკაციის გამო დააკლდებათ. მის შემცვლელად დავიდ ტრეზეგე და სიდნეი გოვუ ითვლებიან, თუმცა, თუ „მამლების“ მწვრთნელ რაიმონ დომენეკის ფილოსოფიას გადავხედავთ, მოედანზე ნიკოლა ანელკას გოვუ უფრო შეუწყვილდება. სხვა ცვლილებას ფრანგთა გუნდში არ უნდა ველოდოთ.

აღსანიშნავია ერთი ფაქტიც: ფრანგებმა ბოლო ხუთი მატჩი ისე ჩაატარეს, რომ გოლი არ გაუშვიათ. ბოლოს მათ ამხანაგურ მატჩში ხავიერ სავიოლამ გაუტანა, როდესაც 7 თებერვალს არგენტინასთან 0:1 დამარცხდნენ.

შოტლანდიას კი ისევ ვერ დაეხმარებიან კენი მილერი, გარი ნეისმიტი და რასელ ანდერსონი. სამაგიეროდ, გუნდს დაუბრუნდება დისკვალიფიციამოხდილი კაპიტანი ბარი ფერგიუსონი, რომელიც გარი ტილს შეცვლის. სქოთების შემადგენლობაში, სავარაუდოდ, ერთ ცვლილებას უნდა ველოდოთ: ლიტვასთან სუსტად მოთამაშე გარი ოკონორის ნაცვლად ძირითადში ჯეიმს მაკფადენი უნდა გამოჩნდეს.

„ფრანგების დამარცხება კლასით ძალიან ძნელია. თუ პარიზში იღბალიც დაგვეხმარება, მოგებაც იქნება შესაძლებელი“ — განაცხადა შოტლანდიელთა მწვრთნელმა ალექს მაკლიშმა.

### უკრაინა — იტალია

**სავარაუდო შემადგენლობები:**

**უკრაინა:** შოვკოვსკი, კუჩერი, ეზერსკი, რუსოლი, ჩიგრინსკი, ტიმოშჩუკი, შელაევი, გუსევი, ნაზარენკო, შევჩენკო, ვორონინი

**იტალია:** ბუფონი, ოდო, კანავარო, ბარძალი, ძამბროტა, პირლო, დე როსი, პეროტა, კამორანეზი, დელ პიერო, ინძაგი

ოლეგ ბლოხინმა თბილისში ჩამოყვანილი შემადგენლობა ხელუხლებლად დატოვა — ყველა ფეხბურთელი ჯანზეა და „აზურისთან“ საომრად ემზადება. ერთია, თბილისურმა მატჩმა ბლოხინი გააცოფა და, შესაძლოა, ცვლილებებსაც მიმართოს. ყოველ შემთხვევაში, რუსლან როტანის დმიტრი ჩიგრინსკით ჩანაცვლებაზე უკრაინაში ღიად საუბრობენ.

იტალიელთა ლაზარეთი კი თანდათან იცლება. კიევური მატჩის წინ ანდრეა პირლოს, ჯანლუკა ძამბროტას, დანიელე დე როსის და კრისტიან პანუჩის თამაში საეჭვო იყო, თუმც ოთხივე მათგანი ვარჯიშს შეუდგა და უკრაინასთან მათი უთამაშებლობის ერთადერთი ხელისშემშლელი მიზეზი არაოპტიმალური ფორმა თუ იქნება.

აი, დაშავებულების, მარკო მატერაცისა და ლუკა ტონის თამაში კი გამორიცხულია. ტონის ნაცვლად რობერტო დონადონიმ ვიჩენცო იაკინტა მიიწვია, თუმც მწვრთნელი მას ალბათ შეცვლაზე შეიყვანს.

იტალიელებს დისკვალიფიცირებული ფეხბურთელიც ჰყავთ — ჯენარო გატუზო, მის ნაცვლად კი სასტარტოში სიმონე პეროტას გამოჩენას უნდა ველოდოთ.

### ლიტვა — ფარერები

შოტლანდიასთან მატჩამდე ლიტველებმა ორი თავდამსხმელი დაკარგეს, ფარერებთან მატჩის წინ კი ორი მცველიც ზედ „მიაყოლეს“: სქოთებთან მატჩში მიღებული ტრავმა მძიმე გამოდგა მარიუს სტანკიავიჩიუსისთვის, რომელიც მაღალი ბურთისთვის ბრძოლის შემდეგ უხერხულად დაეცა და ლავიწი გაიტეხა. სტანკიავიჩიუსი მოედანს რამდენიმე თვეში დაუბრუნდება. ტომას ჟვირგჟდაუსკასი კი ყვითელი ბარათების რაოდენობით „გადაიწვა“ და კუნძულელებთან მატჩსაც ამად გამოტოვებს.

ლიტველთა მწვრთნელმა ალგიმანტას ლიუბინსკასმა შემცვლელებად შემტევი და ჩამშლელი ნახევარმცველები, მანტას სავენასი და აურიმას კუჩისი მიიწვია.

ფარერებს კი არც ტრავმირებული ჰყავთ და არც დისკვალიფიცირებული და ლიტვაში „საბრძოლო“ შემადგენლობით ჩავიდნენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 15:2 | 19 |
| შოტლანდია | 8 | 6 | 0 | 2 | 16:7 | 18 |
| იტალია | 8 | 5 | 2 | 1 | 13:6 | 17 |
| უკრაინა | 7 | 4 | 1 | 2 | 9:7 | 13 |
| საქართველო | 9 | 2 | 1 | 6 | 14:15 | 7 |
| ლიტვა | 8 | 2 | 1 | 5 | 5:10 | 7 |
| ფარერები | 8 | 0 | 0 | 8 | 2:27 | 0 |



ანდრეა პირლომ ტრავმაც მოირჩინა და უკრაინაშიც ჩავიდა

AFP ფოტოები

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

## რონი და ლეო

**A ჯგუფი**

**ფინეთი — პოლონეთი**
**ყაზახეთი — ბელგია**
**პორტუგალია — სერბეთი**

**პორტუგალიას** და სერბეთს ლიდერებზე თითო მატჩით ნაკლები აქვთ ნათამაშები და დღეს ერთმანეთს ხვდებიან. სერბებმა შაბათს ვერ მოუგეს ფინეთს (0:0), პორტუგალია კი პოლონეთს დაუზავდა (2:2). ლუიშ ფელიპე სკოლარის დაშავებული ჰყავს მცველი მარკუს კანეირა, რომელმაც პოლონელებთან მე-12 წუთზე ტრავმა მიიღო. მის ნაცვლად მწვრთნელმა არავის უხმო. ტრავმირებულია ფორვარდი ელდერ პოშტიგაც.

ამ გუნდების ბელგრადული მატჩი 1:1 დასრულდა. წაგების შემთხვევაში სერბებს ჯგუფიდან გასვლის შანსი შეუმცირდებათ, მაგრამ ისიცაა, რომ დარჩენილი ოთხი მატჩიდან სამი ყაზახებთან, სომხებთან და აზერბაიჯანთან აქვთ სათამაშო, რომლებშიც ალბათ ცხრა ქულას აიღებენ, ბოლო ტურში კი პოლონეთს უმასპინძლებენ. სერბეთში უკვე ლაპარაკობენ ხავიერ კლემენტეს შეცვლაზე და ჯგუფიდან თუ ვერ გავლენ, შესაძლოა, ესპანელი მწვრთნელი სინიშა მიხაილოვიჩით შეცვალონ, რომელიც „ინტერში" რობერტო მანჩინის თანაშემწედ მუშაობს.

ჰელსინკიში კი ლიდერები შეხვდებიან და ფინეთს მოგება უნდა პირველ ადგილზე გასასვლელად. რონი ჰოჯსონის გუნდმა ლეო ბეენჰაკერის პოლონეთს შარშან სტუმრად 3:1 სძლია და შედეგის გაუმჯობესებას ეცდება. ფინეთს ჯგუფში საუკეთესო დაცვა ჰყავს — მხოლოდ ექვსი გოლი გაუშვა.

რაც შეეხება ყაზახეთი — ბელგიის მატჩს, მასპინძლები შეეცდებიან იმის დამტკიცებას, რომ ბრიუსელში 0:0 შემთხვევით არ უთამაშიათ. ამ შედეგით შარშან ყაზახეთმა მთელი ევროპა გააკვირვა.

ფინელთა მეკარემ იუსი იასკელაინენმა განაცხადა: „ზოგი ამბობს, რომ ჩვენ გვიმართლებს და ამიტომაც ვართ მეორე ადგილზე, მაგრამ ჩემი აზრით, იღბალი მრავალწლიანი და თავდაუზოგავი შრომით მოდის. შეხედეთ ცხრილს, როგორი გუნდები ჩამოვიტოვეთ. ეს უკვე დიდი მიღწევაა და ვიმედოვნებ, ევროპის ჩემპიონატზე წავალთ".

„ოთხი მატჩი დაგვრჩა და ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსი გვაქვს — თქვა პეტრი პარნენმა — ასეთი რამ ფინეთის ფეხბურთის ისტორიაში ყოველდღე არ ხდება. პოლონეთთან უმნიშვნელოვანესი შეხვედრა გველის".

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 10 | 6 | 2 | 2 | 17:9 | 20 |
| ფინეთი | 10 | 5 | 3 | 2 | 11:6 | 18 |
| პორტუგალია | 9 | 4 | 4 | 1 | 18:8 | 16 |
| სერბეთი | 9 | 4 | 3 | 2 | 12:7 | 15 |
| ბელგია | 9 | 3 | 1 | 5 | 8:12 | 10 |
| სომხეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 4:8 | 8 |
| ყაზახეთი | 9 | 1 | 3 | 5 | 6:13 | 6 |
| აზერბაიჯანი | 8 | 1 | 2 | 5 | 4:17 | 5 |

## ფატიჰ თერიმი: ჩემი ბრალია

**C ჯგუფი**

**ნორვეგია — საბერძნეთი**
**თურქეთი — უნგრეთი**
**ბოსნია — მოლდოვა**

**მალტასთან** მოულოდნელი ფრის შემდეგ თურქეთის ნაკრების მწვრთნელი ფატიჰ თერიმი განრისხდა და დღეს უნგრეთთან მოგებას ითხოვს.

„შოკში ვიყავი — თქვა თერიმმა — თუ მეტოქესავით მოედანზე გული არ დადე, ვერაფერს მიაღწევ. უნგრელებთან მოტივაციის ძებნა აღარ გვჭირდება და უნდა მოვიგოთ. მალტის გამო თავის მართლებას არ ვაპირებ. თუკი რამე შეცდომა იყო, ჩემი ბრალია და არა ფეხბურთელების".

„ისლა დაგვრჩენია, გულშემატკივრებს მოვუბოდიშოთ და ოთხშაბათს მხარდაჭერა ვთხოვოთ" — განაცხადა კაპიტანმა ჰაქან შუქურმა, ხოლო ემრე ბელოზოღლუმ თქვა: „ბოლო სამ მატჩში კონკურენტებს ქულები გულუხვად დავურიგეთ და უნგრეთთან გამოჩნდება, ვართ თუ არა ჯგუფიდან გამსვლელები".

თურქებს ტრავმირებული ჰყავთ მცველი საბრი საროღლუ, ნახევარმცველი არდა თურანი და მეკარე ვოლქან დემირელი. მსუბუქად დაშავებულნი არიან ჰამიტ ალტინტოპი, აიჰან აკმანი და ემრე.

„ალტინტოპის ტრავმა სხვებთან შედარებით უფრო რთულია" — თქვა ექიმმა.

ბოლო სამ მატჩში თურქეთი შინ ნორვეგიას დაუზავდა (2:2), სტუმრად ბოსნიასთან წააგო (2:3) და შაბათს კი „იყოჩაღა" და მალტასთან ფრეს მიაღწია. ხოლო უნგრეთის ამჟამინდელ ფორმაზე მათი ბოლო ორი მატჩი მეტყველებს: მსოფლიოს ჩემპიონ იტალიას ამხანაგურში სძლია (3:1) და მერე ბოსნიას 1:0 მოუგო.

ჯგუფის მთავარი შეხვედრა ოსლოშია. კარგად ათამაშებული ნორვეგია პირველადგილოსან საბერძნეთს მასპინძლობს. ივნისში ნორვეგიელებმა მალტას და უნგრეთს ერთნაირად (4:0) მოუგეს, აგვისტოში არგენტინას ამხანაგურ მატჩში 2:1 აჯობეს და ოთხი დღის წინ სტუმრად მოლდოვას 1:0 სძლიეს.

„დარწმუნებული ვარ, რომ ბერძნები დაცვაში ჩადგებიან და ქულის წაღებას შეეცდებიან — თქვა მასპინძელთა მწვრთნელმა აგე ჰარეიდემ — მაგრამ ჩვენ კარგ ფორმაში ვართ და გამარჯვება გვინდა".

მეკარე ჰაკენ ოპდალმა ბოლო სამ მატჩში გოლი არ გაუშვა, იონ კარეუმ კი ოთხ მატჩში ოთხჯერ გაიტანა.

ბერძნებს ტრავმის გამო „აინტრახტის" ფორვარდი იანის ამანატიდისი დააკლდებათ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 12:5 | 18 |
| ნორვეგია | 8 | 5 | 1 | 2 | 18:6 | 16 |
| თურქეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 18:8 | 14 |
| ბოსნია | 8 | 4 | 1 | 3 | 14:15 | 13 |
| უნგრეთი | 8 | 3 | 0 | 5 | 8:14 | 9 |
| მალტა | 8 | 1 | 2 | 5 | 7:17 | 5 |
| მოლდოვა | 8 | 0 | 2 | 6 | 4:16 | 2 |



ორი სტივენი: ჯერარდი და მაკლარენი

## ბილიჩის ანდორა უემბლიზეა

**E ჯგუფი**

**ანდორა — ხორვატია**
**მაკედონია — ესტონეთი**
**ინგლისი — რუსეთი**

**თითქმის** ფინალის ტოლფასი მატჩი ელის ინგლისს რუსეთთან. სტივ მაკლარენის გუნდი თუ მოიგებს, მეორე ადგილზე გადავა, თუ არა და, ჯგუფიდან გასასვლელად მხოლოდ საკუთარ თავზე აღარ იქნება დამოკიდებული.

„ბოლო ვარჯიშზე არავინ დაშავებულა — განაცხადა მაკლარენმა გუშინ — ყველა ფეხბურთელი გამარჯვებაში დარწმუნებულია. იმავე შემადგენლობას გავიყვან, რომელმაც ისრაელს მოუგო, თუმც რუსები იმსახურებენ, რომ მათ გამო ტაქტიკა ცოტა შევცვალო. მოკლედ, მცირე კორექტივები იქნება. ურთულესი მატჩი გველის, შეცდომის უფლება არ გვაქვს. თუ ისე ვითამაშეთ, როგორც ისრაელთან, დარჩენილ მატჩებსაც მოვიგებთ. არა მგონია, რუსეთთან შეხვედრა განსაკუთრებული იყოს ჩემს სამწვრთნელო კარიერაში. ინგლისის ნაკრების თავკაცისთვის ყველა თამაში მნიშვნელოვანია. ამჟამად ძალიან კარგად არიან შეთამაშებული ჰესკიოუენი, ჯო და ეშლი კოულები და რიჩარდსი-რაიტ-ფილიპსი. მეტოქისგან კერჟაკოვს და არშავინს გამოვარჩევ, თუმც გუნდის ძალას კოლექტიური თამაში განსაზღვრავს და არა რომელიმე ფეხბურთელი. ინგლისს და რუსეთს ამ ჯგუფში ყველაზე ძლიერი დაცვა ჰყავს."

გუუს ჰიდინკის მთავარი პრობლემა კი ისაა, რომ მეკარე აკინფეევი ტრავმირებულია, გაბულოვი მაკედონიასთან გააძევეს და კარში მესამე გოლკიპერი, ვიაჩესლავ მალაფეევი ჩადგება, რომელმაც მაკედონიელ გორან მაზნოვს პენალტი აუღო.

„ისრაელთან მატჩს ვუყურე. ინგლისელებმა საუცხოოდ ითამაშეს — თქვა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა — მეტოქეს ერთი შანსიც არ მისცეს. ჩვენ პრესინგს უნდა მივმართოთ, ვიბრძოლოთ თითოეული გოჯისთვის, რადგან ზოგიერთ კომპონენტში ინგლისელები მაღლა დგანან. დაცვაში ჩაჯდომა სისულელე იქნება."

ჯონ ტერიმ კი განაცხადა: „არ მინდა, ისრაელს ვაწყენინო, მაგრამ რუსეთი გაცილებით უკეთესი გუნდია და უფრო მეტი მაღალი კლასის ფეხბურთელი ჰყავს."

ჯგუფის ლიდერი ხორვატია ალბათ ანდორას გადაავლებს და „უემბლიზე" მატჩი ფრედ თუ დასრულდა, სლავენ ბილიჩის გუნდი მდევრებს კიდევ უფრო გაექცევა.

„ვიმედოვნებთ, რომ ინგლისი და რუსეთი ქულებს გაიყოფენ — თქვა ბილიჩმა — ამ შემთხვევაში, ჩვენ ანდორას და შემდეგ ისრაელის დამარცხებით, ევრო 2008-ის საგზურს გავინაღდებთ."

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 8 | 6 | 2 | 0 | 18:4 | 20 |
| რუსეთი | 8 | 5 | 3 | 0 | 14:1 | 18 |
| ინგლისი | 8 | 5 | 2 | 1 | 15:2 | 17 |
| ისრაელი | 9 | 5 | 2 | 2 | 17:10 | 17 |
| მაკედონია | 8 | 2 | 1 | 5 | 6:10 | 7 |
| ესტონეთი | 9 | 1 | 0 | 8 | 2:17 | 3 |
| ანდორა | 8 | 0 | 0 | 8 | 2:30 | 0 |

## მამა დაბრუნდა

**D ჯგუფი**

**ჩეხეთი — ირლანდია**
**სლოვაკეთი — უელსი**
**კვიპროსი — სან მარინო**

**ათკაცა** სან მარინოს დამარცხების შემდეგ ჩეხებს ირლანდიასთან ბრძოლა ელით. სანმარინოელებს ორი გოლი მას მერე გაუტანეს, რაც მასპინძლებს მეორე ტაიმში ფეხბურთელი გაუძევეს. ჩეხებს დღეს დისკვალიფიცირებული იან კოლერი დააკლდებათ, რომლის ნაცვლადაც პრაღის „სპარტაკ" ფორვარდ ლიბორ დოშეკს უხმეს. გამოჯანმრთელდა მილან ბაროშიც.

არსენალელმა ტომაშ როსიცკიმ თქვა: „ცხადია, ირლანდიასთან სხვანაირად ვითამაშებთ. როცა კოლერი მოედანზეა, მაღალი პასებით ვამარაგებთ, ბაროში კი სწრაფია და ამჯერად სხვა ტაქტიკას მივმართავთ. ირლანდიელი მცველები დიდები და ღონივრები, მაგრამ არც ისე სწრაფები არიან".

აღსანიშნავია, რომ დოშეკი იან კოლერზე (202 სმ) სამი სანტიმეტრით დაბალია. რაზეც მეკარე პეტრ ჩეხმა იხუმრა, ჩვენ მეორე კოლერიც გვყავსო.

„ჯგუფიდან გასვლა თუ გვსურს, ეს მატჩი უნდა მოვიგოთ" — განაცხადა ირლანდიის ნაკრების მწვრთნელმა სტივ სტონტონმა, რომლის გუნდმაც შაბათს სლოვაკებთან მატჩში (2:2) ბოლო წუთზე გაუშვა გოლი და ქულასლა დასჯერდა.

„ორ შეხვედრაში ოთხი ქულა დავგეგმეთ და სლოვაკებთან ფრის მერე ჩეხებთან სამი ქულის აღება გვმართებს" — დასძინა სტონტონმა.

„მანჩესტერ სიტის" ნახევარმცველ სტივენ აილენდს, რომელმაც შაბათს გოლი გაიტანა, ბებია გარდაეცვალა და საჩეხეთოდ არ სცალია. ირლანდიელებს მცველები, სტივ ფინანი და დარენ პოტერიც დააკლდებიან.

სლოვაკეთთან მატჩში უელსელებს ნახევარმცველი ჯეისონ კუმასი და მარკო ჯონსი ვერ დაეხმარებიან. სამაგიეროდ, იქნება კრეიგ ბელამი, ვისაც ბავშვი შეეძინა და გერმანიასთან შეხვედრაც ამიტომ გამოტოვა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 8 | 7 | 1 | 0 | 31:4 | 22 |
| ჩეხეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 18:4 | 17 |
| ირლანდია | 8 | 4 | 2 | 2 | 14:10 | 14 |
| სლოვაკეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 18:15 | 10 |
| უელსი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:11 | 7 |
| კვიპროსი | 7 | 2 | 1 | 4 | 10:16 | 7 |
| სან მარინო | 8 | 0 | 0 | 8 | 1:40 | 0 |

## ღრიალი რეიკიავიკიდან

**F ჯგუფი**

**ისლანდია — ჩრდ. ირლანდია**
**ესპანეთი — ლატვია**
**დანია — ლიხტენშტაინი**

**ესპანეთი** ლატვიას ოვიედოში უმასპინძლებს და ალბათ არ გაიმეორებს იმას, რაც ისლანდიაში დაემართა. შაბათს ლუის არაგონესის ნაკრები 3 ქულისთვის ჩავიდა რეიკიავიკში და კინაღამ ხელცარიელი დაბრუნდა. ხაბი ალონსო გააძევეს, მერე ჰალფრედსონმა გაიტანა და შეცვლაზე შესულ ინიესტას გოლმა ესპანეთი მარცხისგან იხსნა.

მედია მატჩის შემდეგ წერდა, რომ მწვრთნელი შესვენებისას გაცეცხლებულა და გასახდელში ულრიალია, რაც დავიდ ალბელდამ უარყო: „მსგავსი არაფერი მომხდარა. ჩვენ შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ."

ესპანეთს მიჯრით ოთხი მატჩი ჰქონდა მოგებული და ისლანდიასთან დაამუხრუჭა. ხაბი ალონსო ვერ ითამაშებს, მაგრამ ძირითადში იქნება სესკ ფაბრეგასი, რომელმაც დისკვალიფიკაცია მოიხადა. შეტევაში ალბათ ისევ დავიდ ვილია და ფერნანდო ტორესი გამოჩნდებიან.

ჯგუფიდან გასვლის კიდევ ერთი მსურველი ჩრდილოეთ ირლანდია ისლანდიას ესტუმრება. ჩრდილოირლანდიელებს დიდ ტურნირზე 1986 წლის შემდეგ აღარ უთამაშიათ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 17:4 | 19 |
| ჩრ. ირლანდია | 8 | 5 | 1 | 2 | 13:9 | 16 |
| ესპანეთი | 8 | 5 | 1 | 2 | 14:7 | 16 |
| დანია | 7 | 3 | 2 | 2 | 9:5 | 11 |
| ლატვია | 7 | 2 | 0 | 5 | 5:7 | 6 |
| ისლანდია | 8 | 1 | 2 | 5 | 6:16 | 5 |
| ლიხტენშტაინი | 8 | 1 | 1 | 6 | 5:21 | 4 |

**G ჯგუფი**

**სლოვენია — ბელარუსი**
**ბულგარეთი — ლუქსემბურგი**
**ალბანეთი — ჰოლანდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 8 | 6 | 2 | 0 | 17:5 | 20 |
| ჰოლანდია | 7 | 5 | 2 | 0 | 10:2 | 17 |
| ბულგარეთი | 8 | 4 | 3 | 1 | 11:6 | 15 |
| ალბანეთი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:6 | 9 |
| სლოვენია | 8 | 2 | 1 | 5 | 8:12 | 7 |
| ბელარუსი | 8 | 2 | 1 | 5 | 11:18 | 7 |
| ლუქსემბურგი | 8 | 0 | 0 | 8 | 1:17 | 0 |

# როგორ ივარცხნის თმებს ბალაკი?
## ჩელსელ გერმანელს რეალი იანვარში იყიდის

**მიხაელ ბალაკი** იანვარში მადრიდის „რეალის“ სატრანსფერო სამიზნეზე მოხვდება.

გერმანელი ვარსკვლავი „ჩელსიში“ რთულ სიტუაციაშია — მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ საჩემპიონთალიგო განაცხადში არ შეიყვანა და საერთოდ, ბალაკმა იცის, რომ პორტუგალიელის მისდამი უნდობლობის გამო დიდი ხნით არც პრემიერლიგაში ათამაშებენ.

„სტემფორდ ბრიჯის“ ნახევარმცველმა უკვე გამოაცხადა, რომ ამგვარ გაუგებრობაში დარჩენა არ სურს და იანვრის სატრანსფერო ბაზარზე გუნდიდან წასვლას გეგმავს. ბალაკის მიზანი მადრიდის „რეალია“, სურს, სამეფო თეთრი ფორმა მოირგოს და ინგლისური ძნელბედობა ესპანეთში დაივიწყოს. ალბიონური მედიაც ბეჯითად მარჩიელობს, გერმანელი ლონდონს როდის და რანაირად დატოვებს. იქაური PEOPLE ამტკიცებს, რომ ბალაკი იანვარში ბერნდ შუსტერის „სამეფო გუნდის“ წევრი გახდება.


ჟოზე მაურინიუ


ბერნდ შუსტერი



გერმანელის სატრანსფერო ღირებულება, სავარაუდოდ, 8 მილიონი გირვანქა (12 მილიონი ევრო) იქნება, რის გადახდასაც მადრიდის „რეალი“ იოლად შეძლებს. „სამეფო თეთრები“ ალბათ ინგლისელებს ამ თანხაზეც შეევაჭრებიან და ფასდაკლებას სთხოვენ.

სამაგიეროდ, პრობლემა მიხაელის ჯამაგირია. ბალაკი „ჩელსიში“ წლიურად 8 მილიონ ევროს იღებს, რასაც „რეალის“ ვერც ერთი ფეხბურთელის ხელფასი ვერ უტოლდება („ბერნაბეუზე“ ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშე რაულია — 6 მილიონი ევრო). თუმცა ოღონდ მისთვის ჩიხადქცეული „სტემფორდ ბრიჯიდან“ წავიდეს და ეგებ ჯიბის შემსუბუქებაზეც დათანხმდეს...

„რეალის“ მწვრთნელი ბერნდ შუსტერიც მომხრეა, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მისი თანამემამულე ვარსკვლავი მივიდეს. „სამეფო თეთრების“ დამრიგებელი თვლის, რომ ბალაკი პრიმერადივიზიონის ბოლო, რამდენიმე თვის განმავლობაში „რეალს“ ეფექტურად დაეხმარება. შუსტერს მიხაელის შემატება ზაფხულშიც უნდოდა, მაგრამ მაშინ ტრანსფერი არ შედგა.

თავად ფეხბურთელი კი ნანობს, აგვისტოში „რეალში“ გადაბარგებაზე უარი რომ განაცხადა. მაშინ ესპანელები რომან აბრამოვიჩის კლუბს არიენ რობენში და მიხაელ ბალაკში ერთად 40 მილიონ ევროს უხდიდნენ, თუმცა თითქმის მოკვარახჭინებული ტრანსფერი ბალაკის აგენტმა მიხაელ ბეკერმა ჩაშალა. მან ბალაკის მიერ „ბერნაბეუზე“ გატარებულ თითოეულ სეზონში 1,5 მილიონი ევრო საკომისიო მოითხოვა, რაზეც მადრიდელები არ დათანხმდნენ — „რეალის“ სპორტულმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა საჭიროდ არ ჩათვალა, ბეკერისთვის 4,5 მილიონი ევრო ეჩუქებინა.

ახლა კიდევ ერთი საინტერესო ამბავი. იცით, გერმანელსა და დანარჩენ „ჩელსის“ შორის შავ კატას რატომ ჩაურბენია? რატომ და, მიხაელ ბალაკის... ვარცხნილობის გამო! აქ არაფერია საკვირველი და უცნაური. საქმე ის გახლავთ, რომ შავანმა ჩელსელმა, ვინც მედიასთან ვინაობის გამხელა არ ისურვა, ინტერვიუში დაიჩივლა: „ბალაკს, უბრალოდ, იმაზე შეხედეთ — როგორც პეწენიკი ვარცხნილობა აქვს მატჩის დასაწყისში, თამაშსაც ზუსტად ისეთივე იდეალურად დაწყობილი ქოჩორით ასრულებს... თავს უფრთხილდება, ოდნავ ზედმეტი მოძრაობის გაკეთებაც კი არ სურს“.

ანუ რა გამოდის? რა და, მიხაელ ბალაკი პრემიერლიგაში დანერგილი საფეხბურთო სტილის საპირისპიროდ იქცევა და თავგანწირულ ვარდნას პასი ურჩევნია, ხოლო გაფთრებულ ჯირითს მშვიდი პაუზა... ასეთ საქციელს კი ყველა ინგლისურ გუნდში ერთნაირად აფასებენ — რა, სერ, ესე იგი, პრიმადონა ბრძანდება?!

ცხადია, ჟოზე მაურინიუს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, გერმანელი საამსეზონო ჩემპიონთა ლიგას ჩამოაშოროს, ბალაკსა და კლუბს შორის ისედაც გამწვავებული ურთიერთობა სულ გააფუჭა.

— „ჩელსისთან“ დაკავშირებით უკვე ყველანაირი იმედი გამიცრუვდა. სიტუაცია რეალურად უნდა შევაფასო და გამოსავალი უნდა ვეძებო — ამბობს მიხაელ ბალაკი.

„ბერნარდო“ შუსტერს კი სამშობლოში ვიზიტისას ყოფილ ბაიერნელზე უთქვამს, ეგ ბიჭი ძალიან ძვირია, თანაც გაზაფხულიდან მოყოლებული ტრავმები სტანჯავსო. თუმც მადრიდული „ასი“ მიიჩნევს, რომ შუსტერის ბალაკზე ნათქვამი წმინდა წყლის სტრატეგიული სვლაა და მეტი არაფერი. სინამდვილეში („ასის“ ვერსიით) „რეალის“ მწვრთნელს ერთი სული აქვს, სანამ ნიჭიერ თანამემამულეს „ბერნაბეუზე“ მიუყვანენ. თანაც ტრავმებს ბალაკი არ დაუხეიბრებია, გერმანიის ნაკრების მწვრთნელი იოახიმ ლიოვი ვარსკვლავის გამოძახებას 13 ოქტომბერს ირლანდიასთან ჯახში აპირებს.

გერმანიაში ფეხბურთის მცოდნე ხალხი მიხაელის ლონდონურ დილემას კარგად ხედავს — შტეფან ეფენბერგი, ფრანც ბეკენბაუერი და გიუნტერ ნეტცერი თვლიან, რომ ბალაკმა კლუბი აუცილებლად უნდა შეიცვალოს.

„მისთვისაც და გერმანიის ნაკრებისთვისაც კარგი იქნება, თუ ბალაკი ახალ გუნდს მოძებნის“ — თქვა გიუნტერ ნეტცერმა.

**ლადო ხომერიკი**

# პაპარაცული ამბავი რონალდუსთვის
## თურმე ვინ ყოფილა ჯემა



**ბრიტანელი** მსახიობი სტივ მაკფადენი ახლახან პაპარაცებმა ერთ „მსუბუქი ყოფაქცევის“ ქალთან ერთად ნახეს.

მერე რაო, ან რა კავშირი აქვს ამას ფეხბურთთანო, იკითხავთ... საქმე ისაა, რომ ეს გოგონა ჯემა სტორეია, რომელიც პორტუგალიის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავ კრიშტიანუ რონალდუს საცოლეა.

„სანის“ ცნობით, სტივი და ჯემა, რომელიც შეთავსებით თურმე პორნოვარსკვლავიც ყოფილა, ერთ-ერთი ლონდონური ბარიდან გამოსვლისას ნახეს — სანამ წყვილი ტაქსს ელოდებოდა, ჯემა სტივს მიხუტებოდა და მხურვალედ ჰკოცნიდა.

„იგი გიჟდება სექსზე, განსაკუთრებით მაშინ, თუ ამაში ფულს უხდიან. ჯემა სკოლაშიც ასეთი გარყვნილი იყო“ — უთქვამს ჯემას მავან მეგობარს ჟურნალისტებისთვის.

იცის თუ არა ეს ყველაფერი მაკფადენმა და, რაც მთავარია, რონალდუმ, უცნობია.


სტივ მაკფადენი

**კოკი კანდელაკი**

# დაფასებული კაკა და ღარიბი კალიარი



**იტალიურმა** „გაძეტა დელო სპორტმა“ საინტერესო წერილი გამოაქვეყნა, რომელიც სერია A-ს ფეხბურთელების ხელფასებს ეხება.

როგორც ირკვევა, იტალიის ჩემპიონატში ყველაზე დიდ ხელფასს „მილანის“ ბრაზილიელი ლიდერი კაკა იღებს — წელიწადში დაახლოებით 6 მილიონ ევროს. მეორე ადგილზე „რომას“ კაპიტანი და სიმბოლო ფრანჩესკო ტოტია 5,55 მილიონით, მესამე-მეექვსე ადგილებს კი „იუვენტუსის“ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი და ინტერელები — ზლატან იბრაჰიმოვიჩი, პატრიკ ვიეირა და ადრიანო იყოფენ 5,1 მილიონით.

ფეხბურთელების ხელფასებზე ყველაზე მეტს „მილანი“ ხარჯავს — 120 მილიონ ევროს. ამ მხრივ მეორე ადგილზე „როსონერის“ თანაქალაქელი „ინტერია“ 111 მილიონით. მილანურ კლუბებს „იუვენტუსი“ მისდევს 99 მილიონით. „რომა“ მოთამაშეებს წელიწადში 60 მილიონს უხდის, მეორე დედაქალაქური კლუბი „ლაციო“ კი — მხოლოდ 18 მილიონს.

სერია A-ს კლუბებს შორის თავისი მოთამაშეების ხელფასებზე ყველაზე ნაკლებს „კალიარი“ ხარჯავს. სარდინიელებს ფეხბურთელების შენახვა ოდენ 11,3 მილიონი უხდებათ, როცა მხოლოდ კაკასა და ტოტის ხელფასების ჯამი ამ თანხაზე მეტია...

**გიორგი ქაქაბაძე**

# რონალდო გაუგებრობაში

## კიჭას დოპინგით აშინებენ



**ვეტერანი** ბრაზილიელი ფორვარდი რონალდო გაუგებრობაშია. მოგეხსენებათ, იგი 31 ივლისის მერე ტრავმირებულია და საბოლოოდ ვერა და ვერ გამოჯანმრთელდა.

გასულ კვირას „კიჭა“ სამშობლოში გაემგზავრა და ეროვნული ნაკრების ექიმ ჟოზე ლუის რუნკოს გაესინჯა, რომელმაც მას ახალი დიაგნოზი დაუსვა და „მილანის“ ექიმებისგან განსხვავებული მკურნალობის კურსი დაუნიშნა.

ერთი შეხედვით, ამ ამბავში განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ იტალიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ლუიჯი ფრატის თქმით, რუნკომ რონალდოს აკრძალული პრეპარატები დაუნიშნა, რომელთა მიღებაც „კიჭას“ დოპინგის ხმარებაში ჩაეთვლება...

რონალდო უახლოეს დღეებში დაბრუნდება იტალიაში და ანტიდოპინგური კამპანიის შეფ ეტორე ტორის შეხვდება, რომელიც ვითარებაში დეტალურად გაერკვევა და რა ელის „კიჭას“, ალბათ ამის მერე გახდება ცნობილი.

**ქოქი ქანდელაკი**

# ორი თვე უბუმსონგოდ

**ტურინის** „იუვენტუსი“ პარასკევს „ლა რომარედაზე“ ამხანაგურად გაეჯიბრა „სარაგოსას“ და, როგორც უკვე გაუწყეთ, ამ შეხვედრაში „ბიანკონერის“ სამი ფეხბურთელი დაუშავდა — ჟან-ალენ ბუმსონგი, ანტონიო ნოჩერინო და რაფაელე პალადინო.

„ბებერი ქალბატონის“ ექიმების თქმით, ბუმსონგის ტრავმა საკმაოდ სერიოზულია, ფრანგი მცველი ორი თვე ვერ ითამაშებს. ეს კი კლაუდიო რანიერის „იუვეს“ დაცვაში არსებულ პრობლემებს გაუმწვავებს.

გავრცელებული ცნობით, მომავალ უქმეებზე „უდინეზესთან“ მატჩში „ბიანკონერის“ დაცვის ხაზი ასე იქნება დაკომპლექტებული — ალესანდრო ბირინდელი, დომენიკო კრიშიტო, ჟორჟე ანდრადე და ჯორჯო კიელინი.

რაც შეეხებათ ნოჩერინოსა და პალადინოს, პირველს 5-10 დღე მოუწევს უქმობა, მეორემ კი უკვე გაანახლა ვარჯიში და მწყობრშია.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ტადეიმ ცისფერი იუარა

## რას ვერჩი ბრაზილიას და იტალიელებს?!



**იტალიური** „რომას“ შემტევმა ნახევარმცველმა როდრიგო ტადეიმ „სკუადრა აძურას“ რიგებში თამაშზე უარი განაცხადა. 27 წლის ფეხბურთელი, რომელსაც თავდამსხმელად თამაშიც შეუძლია, „გლადიატორებში“ 2005 წელს „სიენადან“ გადაბარგდა და მას მერე შესამჩნევად მოუმატა.

ტადეის იტალიური ფესვები აქვს და რა ხანია, იტალიაში ცხოვრობს, მაგრამ ბრაზილიაშია დაბადებული და, როგორც ჩანს, თავს ბრაზილიელად თვლის და არა აპენინელად.

ეტყობა, იტალიური ფეხბურთის მამებმა გადაწყვიტეს, „სკუადრა აძურას“ თავდასხმაში ბოლო დროს გაჩენილი პრობლემები ტადეის ნაკრებში მიწვევით შეემსუბუქებინათ, მაგრამ მისგან, ისევე, როგორც ადრე პალერმოელი ამაურისგან, უარი მიიღეს.

„ჩემმა თანაკლუბელებმა, რომლებიც ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავენ, მკითხეს, ვითამაშებდი თუ არა „სკუადრა აძურაში“. მირჩევნია, ეს არ გავაკეთო. ნაკრებში თამაში ასეთი მარტივი თემა არ არის, შენი ქვეყნის სახელით გამოსვლა ძალიან საპასუხისმგებლო რამაა. ბრაზილიის გარდა სხვა ნაკრების მაისურაში თავს კარგად ვერ ვიგრძნობ. არც ის იქნება სწორი, რომ რომელიმე სრულფასოვან იტალიელს ადგილი წავართვა. აჯობებს, დაველოდო და იმედი დავიტოვო, რომ ერთ დღეს ბრაზილიის ნაკრებში გამომიძახებენ“ — განაცხადა ტადეიმ.

**გიორგი ქაქაბაძე**



# მატერაცის შხაპი

## აქ სხვა ვარ და იქ სხვა

„ინტერისა“ და იტალიის ნაკრების მცველი, რომელმაც ზინედინ ზიდანსა და მთელ საფრანგეთს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი ჩაუმწარა — მარკო მატერაცი — საქვეყნოდ ცნობილი კაცია და მას წარდგენა არ სჭირდება, მხოლოდ ის ვთქვათ, რომ ინტერელმა ახლახან ავტობიოგრაფიული წიგნიც დაწერა.

მატერაცის CHANAL+-ის ჟურნალისტები ესაუბრნენ...

**— უბრალოდ, შეუძლებელია, თქვენთან ინტერვიუ ზინედინ ზიდანის კარიერის ბოლო მატჩზე საუბრით არ დავიწყოთ...**

ვიშვანათან ანანდი



პეტერ ლეკო



პიოტრ სვიდლერი



ბორის გელფანდი



ალექსანდრ გრიშჩუკი



ალექსანდრ მოროზევიჩი



ლევონ არონიანი

მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ვლადიმირ კრამნიკი** მექსიკაში ტიტულის დაცვას შეეცდება. რუსი დიდოსტატი ფიდეს რეიტინგში მესამე ადგილზეა და ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტადაა მიჩნეული.

კრამნიკი 1975 წლის 25 ივნისს დაიბადა. ჭადრაკის თამაში და ტურნირების მოგება ბავშვობიდან დაიწყო. 2000 წელს მან ლონდონში პლანეტის ჩემპიონ გარი კასპაროვს მოუგო და ტიტულიც ჩამოართვა. მაშინ საჭადრაკო სამყარო ორად იყო გაყოფილი და შესაბამისად, მსოფლიოს ორი ჩემპიონი ჰყავდა — ერთი ფიდეს ვერსიით და მეორე კლასიკურით. 2002 წელს ფიდემ და მოწინააღმდეგე მხარემ შერიგება გადაწყვიტეს და მოილაპარაკეს, რომ მსოფლიოს ერთი, ნამდვილი ჩემპიონი ჰყოლოდა. მაშინ გაიძვერა კრამნიკმა ხელი მოაწერა ამ შეთანხმებას, თუმც შემდეგ რაღაც მიზეზებს იგონებდა და დაპირებულ თამაშს თავს არიდებდა. 2004 წელს ნახევარფინალურ მატჩში იგი პეტერ ლეკოს შეხვდა და 7:7 დაუზავდა. მაშინ კრამნიკმა თავი კვლავ ჩემპიონად გამოაცხადა და 2005 წელს მექსიკაში მსოფლიოს ჩემპიონატზე არ ითამაშა. ფიდე კვლავ დათმობაზე წავიდა და საბოლოოდ 2006 წელს კრამნიკი მექსიკაში გამარჯვებულ ვესელინ ტოპალოვს ელისტაში შეახვედრა. მატჩმა საკმაოდ ხმაურიანად ჩაიარა, იყო სატუალეტო სკანდალები, გაბუტვები და ჩივილები. საბოლოოდ ეს დაძაბული შეხვედრა რუსმა მოიგო და მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულიც დაისაკუთრა. წაგებულმა ტოპალოვმა მატჩრევანში მოითხოვა, თუმც კრამნიკმა უარი შეუთვალა და ჩემპიონობას ახლა მექსიკაში დაიცავს.

ვლადიმირი თავისებური თამაშის სტილით გამოირჩევა. იგი ძლიერია დაცვაში, დებიუტსა და ენდშპილში. თამაშისას კი მოულოდნელად იცის თავდასხმა. ამიტომაც ყველა უფრთხის მასთან შეხვედრას და ჩემპიონატზეც ერთ-ერთი ფავორიტია.

ინდოელი დიდოსტატი **ვიშვანათან ანანდი** 2000 წელს ფიდეს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ორი წლის წინ კი მექსიკაში მსოფლიოს პირველობაზე მეორე ადგილს დასჯერდა. ამჟამად „ინდოელი ვეფხვი" ფიდეს რეიტინგს ლიდერობს და გათამაშების მთავარი ფავორიტია.

1992 წელს ანანდმა იტალიაში პირველი სუპერტურნირი მოიგო და საჭადრაკო ელიტაში შეაბიჯა. მას შემდეგ კი თამაშს კიდევ უფრო მოუმატა და წელს პირველი ნომერია. 1998 წელს ანანდმა ფიდეს მსოფლიოს პირველობაზე იასპარეზა და ფინალში ანატოლი კარპოვთან დამარცხდა. ორი წლის შემდეგ მან ძველი შეცდომები გაითვალისწინა და უკვე ოქრო მოიპოვა. გარდა ამისა, ანანდი მრავალი სუპერტურნირის გამარჯვებულია და სწრაფ ჭადრაკში ბადალი არ ჰყავს. მას კარგი თეორიული მომზადება აქვს და სტრატეგიაც მშვენივრად ესმის. სპეციალისტების ვარაუდით, ეს 38 წლის დიდოსტატი მექსიკაში ბევრ მოჭადრაკეს გაუფუჭებს გუნებას.

ჩემპიონატის მესამე ნომერი **ალექსანდრ მოროზევიჩი** ყველაზე გამოუცნობი მოთამაშეა. მას შეუძლია ტურნირზე ყველა შეხვედრა მოიგოს, ანაც ყველა წააგოს. უმეტეს შემთხვევაში რუსი ძლიერად ასპარეზობს და ფიდეს რეიტინგში მე-4 ადგილზეა. მოროზევიჩს კომბინაციური და ტაქტიკური თამაში უყვარს. თუ მექსიკაში კარგ ხასიათზე იქნა, ვერავინ შეაჩერებს.

უნგრელი **პეტერ ლეკო** მუდამ სტაბილური თამაშით გამოირჩევა და თეორიულ მომზადებაში ბადალი არ ჰყავს. მადიარმა დიდოსტატმა მექსიკის საგზური ელისტაში პრეტენდენტთა ტურნირზე მოიპოვა — პირველ ეტაპზე მიხაილ გურევიჩი 3,5:0,5 დაამარცხა, მომდევნოზე კი ევგენი ბარეევს სძლია 2,5:1,5 და საუკეთესო რვა კაცშიც მოხვდა. ლეკო 1979 წელს დაიბადა და ჭადრაკის თამაში ადრეულ ასაკში დაიწყო. პატარებში ორჯერ მოასწრო მსოფლიოს ჩემპიონობა და დიდ ტურნირებზე ადრეულ ასაკში ჩაება. ამჟამად ის ფიდეს რეიტინგში მე-8 ადგილზეა.

25 წლის **ლევონ არონიანი** მექსიკაში დიდი იმედებით ჩადის. სომეხი მოჭადრაკე ელიტაში 2005 წელს შევიდა, როცა ხანტიმანსიისკში მსოფლიოს თასი მოიპოვა. მას შემდეგ მაღაზე მოვიდა და რამდენიმე სუპერტურნირიც მოიგო. 2006 წელს კი თავის ნაკრებთან ერთად ოლიმპიური ოქროც აიღო.

არონიანი ძლიერი ნერვებით გამოირჩევა და კონტროლს თამაშის ბოლომდე ინარჩუნებს. რეიტინგით არონიანი ჩემპიონატზე მეხუთეა.

რუსეთის ოთხგზის ჩემპიონი **პიოტრ სვიდლერი** ფიდეს რეიტინგში მე-9 პოზიციაზეა. იგი კარგადაა მომზადებული თეორიაში, ძლიერია იერიშებში და თეთრებით თითქმის დაუმარცხებელია. სვიდლერს ორჯერ აქვს მოგებული დორტმუნდის ტუპერტურნირი, ორი წლის წინ კი მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე-მესამე ადგილებს დასჯერდა. შარშან რუსი გაცილებით უკეთეს ფორმაში იყო და ფიდეს რეიტინგში მესამე-მეოთხე ადგილამდეც აღზევდა, თუმც წლეულს მოისუსტა და ხუთი საფეხურით დაქვეითდა. სვიდლერი ყველაზე მხიარული მოჭადრაკეა და გულშემატკივრებსაც ხშირად ხვდება. მისი ჰობია კითხვა, მუსიკის მოსმენა და კრიკეტის თამაში.

ებრაელი **ბორის გელფანდი** 1968 წელს მინსკში დაიბადა. 15 წლისა უკვე ელიტაში შედიოდა და ძლიერ ტურნირებზეც გამოდიოდა. ძლიერი თეორეტიკოსია და თამაშების ჩახლართვა სჩვევია. ჩემპიონატის საგზური მან პრეტენდენტთა ტურნირზე მოიპოვა. პირველ ეტაპზე უზბეკ რუსტამ კასიმჯანოვს დაუპირისპირდა და დაძაბულ ბრძოლაში 5,5:3,5 მოუგო. მომდევნო ეტაპზე მას ამერიკელი გატა კამსკი შეხვდა. გელფანდმა ძლიერი მეტოქე ადვილად გატეხა, 3,5:1,5 დაამარცხა და ჩემპიონატზეც მოხვდა.

**ალექსანდრ გრიშჩუკს** მონაწილეთა შორის ყველაზე დაბალი რეიტინგი აქვს. მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მან პრეტენდენტთა ტურნირზე მოიპოვა. იქ თანამემამულეები ვლადიმირ მალახოვი და სერგეი რუბლევსკი დაამარცხა. 24 წლის მოჭადრაკემ ბოლო წლებში საგრძნობლად მოუსუსტა. წინა წლებში გაცილებით ძლიერი იყო და თვით კასპაროვსაც ადარებდნენ. თუმცა, როგორც ჩანს, პატარა ბიჭს ამხელა პოპულარობა თავში აუვარდა და ვარჯიშებს უკლო, რის გამოც ფიდეს რეიტინგში საკმაო ქულები დაკარგა და მე-16 ადგილამდე ჩამოქვეითდა.

**ლუკა გეგეჭკორი**

## ავტორბოლა

# პატარა მეფორმულეები გზისთვის იბრძვიან



ტიმო გლოკი

**მომავლის** რბოლებს, ანუ როგორც ითვლება, ფორმულა I-ისვის სატრამპლინო GPS სერიას წლეულს ახალი გამარჯვებული ეყოლება. ბუნებრივიცაა, რადგან შარშანდელი ტრიუმფატორი, ინგლისელი ლუის ჰემილტონი სადღეისოდ უკვე ზეუმაღლეს, სამეფო კლასში დაჯირითობს და თანაც როგორ, გვირგვინისთვისაც კი იბრძვის.

GPS-ს თავიდანვე გერმანელი ტიმო გლოკი ჩაუდგა, თავში და კარგა ხანს გენერალურ კლასიფიკაციაში დამაჯერებლადაც ლიდერობდა, მაგრამ მერე კონკურენტები გამოუჩნდნენ და მისი მეწინავეობა მინიმუმამდე დავიდა. თუმც ბოლო, იტალიურ გრან პრიზე 25 წლის იტალიელმა ექსმეფორმულემ სპრინტის მოგებით სატურნირო სტატუს-ქვო აღადგინა.

მონცას ლეგენდარულ „აუტოდრომო ნაციონალეზე" პირველი, 180-კილომეტრიანი რბოლა ტიმომ მესამე პოზიციაზე დაასრულა, პოულ-პოზიციის მომგებ, ასევე ყოფილ მეფორმულე ჯორჯო პანტანოსა და ლუკა ფილიპის შემდეგ.

მეორე დღეს 120-კილომეტრიან „სპრინტში" გლოკმა კონკურენტებს მისხალი შანსი არ დაუტოვა მიუხედავად იმისა, რომ სარბოლო რევერსიული სისტემის გამო სტარტზე მხოლოდ მეექვსე იდგა, დაცვისთანავე ერთი-ორი ოსტატური მონევრით სამეულში აღმოჩნდა, ხოლო შემდგომ ქარავანს თავში მოექცა და კონკურენტები უზარმაზარი სხვაობით ჩამოიტოვა.

ერთი სიტყვით, GPS-ის ფინიშამდე ორი ეტაპით ადრე ტიმო გლოკი 11-ქულიანი უპირატესობითაა წინ და საეჭვოა, უახლოესი მდევარი, ბრაზილიელი ლუკას დი ბრაზი მას სატიტულოდ შეებრძოლოს.

**გია ახალაძე**

## ოლიმპიზმი



# ტოკიოს მთავრობაც მხარს უჭერს

**იაპონიის** მთავრობამ 2016 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ ტოკიოს კანდიდატურა მოიწონა.

„ოლიმპიადა მშვიდობისა და კულტურის ზეიმია — ამბობს ამომავალი მზის ქვეყნის დედაქალაქის მერი სინტარო ისიხარო — ეს თამაშები გრანდიოზული მოვლენა და მთავარი ეროვნული პროექტია."

იაპონიის მთავრობამ ტოკიოსადმი მხარდაჭერა იმითაც გამოხატა, რომ ხარუმის რაიონში ახალი, ვეება სტადიონის მშენებლობის იდეაც წამოაყენა, სადაც ოლიმპიადის საზეიმო გახსნისა და დახურვის ცერემონიალები გაიმართება. ამასთან, ხელისუფლებამ ოლიმპიური ობიექტების ასაგებად ხარჯების ნაწილის დაფარვაც ითავა.

და ბოლოს, შეგახსენებთ, რომ ოლიმპიურ თამაშებს ტოკიომ 1964 წელს უმასპინძლა, ხოლო იაპონიის სხვა ქალაქმა ნაგანომ 1998 წლის ზამთრის ოლიმპიადაც მიიღო.

# ევროპის ჩემპიონატი

## ესპანეთი. 3-16 სექტემბერი. მეორე ჯგუფური ეტაპი



გორან დრაგიჩის სლოვენიამ გერმანია სადღაც ქვემოთ დატოვა

# იტალიამ თურქული ბეწვის ხიდი გაიარა

**F ჯგუფი**

**ლიტვა 88:73 საფრანგეთი**

*19:18 29:14 20:28 20:13*

ლიტვა: შიშკაუსკასი (19), სონგაილა (17), იასაიტისი (13)

საფრანგეთი: პიეტრუსი (13), პარკერი (11)

**იტალია 84:75 თურქეთი**

*ძირითადი დრო: 70:70*

*15:29 19:14 24:11 12:16 14:5*

იტალია: ბელინელი (17), ჯიგლი (17), ბარნანი (12)

თურქეთი: თურქოღლუ (34), პეკერი (11)

**სლოვენია 77:47 გერმანია**

*30:9 15:13 18:12 14:13*

სლოვენია: სმოდიში (22), ნესტეროვიჩი (13), ლაკოვიჩი (12)

გერმანია: ნოვიცკი (16), იაგლა (7)

„ჩვენ შევაჩერეთ დირკ ნოვიცკი" — ამაყად თქვა სლოვენიელთა მწვრთნელმა ალეშ პიპანმა და ვინც იცის, რას ნიშნავს ეს სიტყვები, გერმანელების შერცხვენა არ გაუკვირდება.

გერმანიის ნაკრები რომ თავიდან ბოლომდე ნოვიცკია, დიდმა თუ პატარამ უწყის. რისთვისაც ბოლო წლებში ამ გუნდს მიუღწევია, მთლიანად ამ ოქროსთმიანი გენიოსის დამსახურებაა და თუკი ნოვიცკის შეაჩერებ, გერმანიის ძლევა უიოლესი საქმე ხდება. ოღონდ ნოვიცკის გაუვნებლებმა იოლი არავის ეგონოს — მას ნბა-ს სუპერგუნდები და ვარსკვლავები იშვიათად აჩერებენ და ევროპის ჩემპიონატზე ამის გაკეთება გმირობად ითვლება.

სლოვენიელებმა თავიდანვე დაატყვევეს გერმანელთა ლიდერი და ეს შედეგზეც უმალ აისახა. ექსიუგოსლაველებმა 30:9 მოიგეს საწყისი მეოთხედი და თამაშის ბედიც ალბათ აქ გადაწყვიტეს. ნოვიცკის მაგრად დაუდგა ასევე ნბაში გამობრძმედილი რადოსლავ ნესტეროვიჩი, რომელსაც ხელს თანაგუნდელებიც აშველებდნენ და მათ ასე ერთობლივი ძალებით შეაჩერეს გერმანელთა ლიდერი.

საბოლოოდ ნოვიცკიმ მხოლოდ 16 ქულა შეაკოწიწა, მისმა გერმანიამ კი 50-ქულიანი ბარიერიც ვერ დაძლია და ყოვლად უსახური ანგარიშით დამარცხდა. სლოვენია კარგად დაბალანსებული გუნდია და გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს, თუმც ამ მატჩში მოსკოვის ცსკა-ს სუპერფორვარდმა მატიაჟ სმოდიშმა გამოიდო თავი და გერმანელებს 20 წუთში 22 ქულა ჩაუკალათა.

„არც კი ვიცი, ეს როგორ შეგვემთხვა. საშინლად იმედგაცრუებული ვარ. ასეთი ცუდი პირველი მეოთხედი გერმანიის ნაკრებს ჯერ არ უთამაშია, რაც მე მისი მწვრთნელი ვარ — თქვა დირკ ბაუერმანმა — არა მარტო სროლა არ წაგვივიდა, არამედ დაცვაშიც ჩავფლავდით. 21 ქულით ჩამორჩენის შემდეგ მოგება თითქმის წარმოუდგენელი იყო... თუმც ყველაფერი ამ წაგებით არ დამთავრებულა. ოთხშაბათს ყოფნა-არყოფნის მატჩი გვაქვს იტალიასთან და მოსაგებად ყველაფერი უნდა ვიღონოთ."

სწორედ იტალია-გერმანიის მატჩში უნდა გაირკვეს F ჯგუფიდან გასული მეოთხე მეოთხედფინალისტი. არადა, დიდი შანსი იყო, იტალიასთვის ყველაფერი ამ ტურში დამთავრებულიყო — „სკუადრა ადზურამ" თურქულ ბეწვის ხიდზე გაიარა.

„თამაშის დაწყებამდე ვიცოდით, რომ ჯგუფში დარჩენილი ორივე მატჩი უნდა მოგვეგო, რათა მეოთხედფინალში გავსულიყავით — თქვა იტალიელთა თავკაცმა კარლო რეკალკატიმ — პირველი კი მოვიგეთ, მაგრამ საამისოდ დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა. მარკო ბელინელის უნდა ვუმადლოდეთ, რომელმაც მეორე ტაიმში კარგად ითამაშა და სხვებიც აიყოლია."

არადა, იტალია მართლაც კლანჭებიდან დაუძვრა თურქებს. პირველი მეოთხედის 15:29 წაგების შემდეგ ადზურელები გამოფხიზლდნენ და დიდი შესვენებისთვის ჩამორჩენა 9 ქულამდე შეამცირეს.

აი, მეორე ტაიმიდან კი ამ ზაფხულს დრაფტირებული მარკო ბელინელი ამოქმედდა, რომელმაც მთელი სამმატჩოს მონაგარი, 17 ქულა დიდი შესვენების შემდეგ ჩააგდო.

მესამე მეოთხედში რეკალკატის შეგირდებმა თურქებს ლაგამი ამოსდეს და სხვაობა ხომ გაათანაბრეს, გადამწყვეტი მეოთხედის წინ 4 ქულითაც დაწინაურდნენ. თუმც ტურნირის ყველაზე ამოუცნობმა ოსმალოთა გუნდმა ბოლო ძალები მოიკრიბა და ნბა-ში განსწავლული ჰედო თურქოღლუს დახმარებით თამაში ოვერტაიმამდე მიიყვანა.

ის კი არა, თურქებს გამარჯვებას შეეძლოთ, მაგრამ იბრაჰიმ ქუთლუაიმ ძირითადი დროის ბოლო წამებზე სრულიად უწყინარი სიტუაციიდან ააცილა. დამატებით დროში იტალიელები უკვე შეუჩერებლები გახდნენ და თამაშიც იოლად მიიყვანეს გამარჯვებამდე.

ჯგუფის მესამე მატჩში ტურნირის ყველაზე მრისხანე იმიჯის მქონე ლიტვამ საფრანგეთი გამოიჭირა და ეს თავმოყვარე გუნდი ერთი ამოსუნთქვით დაამარცხა. ლიტველები იმიტომაც არიან ძლიერები, რომ ყველა მათგანი პოტენციური ლიდერია — ერთ მატჩში რომ ერთი ივაჭკაცებს, მეორეში სულ სხვა გახდება ბომბარდირი. ამჯერად რამუნას შიშკაუსკასის ჯერი დადგა, რომელიც იმ დღეს 29 წლის მოიყარა.

„დაბადების დღე მაქვს და ასეთ დროს ცუდად ხომ ვერ ვითამაშებდი. ავდექი და ჩემს თავს საჩუქარი მივუძღვენი. ბომბარდირი გავხდი და თან ლიტვამაც მოიგო" — გადასარევ ხასიათზე იყო შიშკაუსკასი. მისი გუნდი ჯერაც დაუმარცხებელია და მეოთხედფინალის საგზურიც ნაადრევად აქვს ჯიბეში.

**ირაკლი პერტაია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 4 | 4 | 0 | 279:232 | 8 |
| ლიტვა | 4 | 4 | 0 | 337:296 | 8 |
| საფრანგეთი | 4 | 2 | 2 | 286:283 | 6 |
| იტალია | 4 | 1 | 3 | 288:292 | 5 |
| გერმანია | 4 | 1 | 3 | 272:288 | 5 |
| თურქეთი | 4 | 0 | 4 | 244:315 | 4 |



# ბორჯომის თასი

## თბილისი. 10-16 სექტემბერი. საპრიზო 10.000 $

**პირველი წრე**

მანანა შაფაქიძე (5, საქართველო) — პეტრა მოკრა (ჩეხეთი) 6:0 (უარი)
თინათინ ყაულაშვილი (საქართველო) — ალექსანდრა მალიარჩიკოვა (6, ბელარუსი) 1:6 6:3 7:6 (5)
ანა ჯიქია (საქართველო) — ოფელია პოლოსიანი (სომხეთი) 3:6 6:3 6:1
სოფო ქვაცაბაია (საქართველო) — ჟანა პანფილკინა (რუსეთი) 6:1 6:2
მარიამ ქურდაძე (საქართველო) — კატერინა მალახოვა (უკრაინა) 6:2 6:2
ლია ცანავა (რუსეთი) — ვოლჰა დუკო (8, ბელარუსი) 6:4 6:4
ლესია ცურენკო (უკრაინა) — მარგარიტა ლაზარევა (რუსეთი) 6:0 6:2
იულია კირიენკო (უკრაინა) — თეონა ცერცვაძე (საქართველო) 6:0 6:1

# ქართული თასის ბელარუსული გინება და იტალიური სიცილი

**ბაქოს** ათიათასიანი ტურნირის ჩემპიონმა თინათინ ყაულაშვილმა იგივე საპრიზო ფონდის მქონე ბორჯომის თასი მძიმედ დაიწყო. მსოფლიოს რეიტინგსიაში ათასეულს მიღმა მდგომი ქართველი კენჭისყრამ პირველივე წრეში თავისზე სამასი ადგილით წინ მდგომ ზორბა ბელარუსს ალექსანდრა მალიარჩიკოვას გადაჰყარა. რომ არა დამღლელი აზერბაიჯანული კვირეული, ეგებ ჩვენებურს უპრობლემოდაც გაევლო ტურნირის მეექვსე ნომერი. ახლა კი ამისთვის სამსაათიანი დამქანცველი ბრძოლა დასჭირდა.



თინათინ ყაულაშვილი

გუშინდელი დღის ყველაზე საინტერესო და დაძაბული შეხვედრა მალიარჩიკოვას კარნახით დაიწყო. ბელარუსმა 6:1 იმარჯვა და ალბათ თავი უკვე მეორე წრეში დაიგულა. ყაულაშვილმა კი მეორე სეტში თამაში დაალაგა და ზედიზედ სამი გეიმი აიღო. მერე მეტოქეებმა მოწოდებები ცვალეს და ცოტა ხანში საერთო ანგარიშიც გათანაბრდა.

გადამწყვეტ სეტში ქართველმა თავიდანვე აართვა მეტოქეს მოწოდება. იქვე თავისიც გამოიყენა და ორქულიანი უპირატესობით დაწინაურდა. საქმე საბოლოოდ მეათე გეიმში უნდა მოემთავრებინა. ყაულაშვილი 5:4-ს იგებდა და თავად აწოდებდა. მალიარჩიკოვა კი ისე იყო ანერვიულებული, უკვე რამდენჯერმე მოესწრო ხმამაღლა ქვითინი და ლანძღვა-გინება, ძირითადად, საკუთარი თავის, ერთიორჯერ კი — მეტოქის გულშემატკივრების მისამართით.

მოულოდნელად ბელარუსმა ჩვენებურს ქულა აართვა და ანგარიშის გათანაბრებით გახარებულმა ისე იკივლა, ორ წუთში ყველა სხვა კორტის მაყურებლები მისი კორტის გარშემო შემოიკრიბა. სანახაობა მართლაც კარგი გამოდგა. ჯერ იყო და თიკამ ისევ მეტოქის მოწოდებაზე იხეირა. მერე კი კვლავ თავისი დათმო და საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა. აქაც გვარიანი წივილ-კივილი და ბრძოლა გაჩაღდა, რომელიც ქართველის გამარჯვებით, ნაგინები ხალხის სიხარულით და მაგინებლის ცრემლით დასრულდა.

პირველი წრის დანარჩენი შვიდი შეხვედრიდან ექვსში გამარჯვებულებმა ორ-ორი სეტი იკმარეს. მხოლოდ ანა ჯიქიას დასჭირდა სამი სეტი სომეხი ოფელია პოლოსიანის ჩამოსაცილებლად, ოღონდ ვერ ვიტყვით, რომ მეორე წრეში გასვლა გაუჭირდა. პირველი წაგებული სეტის შემდეგ საქმე ისე ჩაამთავრა, მეტოქეს ჯამში ოთხი გეიმი დაუთმო.

მოწინააღმდეგეები ძალიან იოლად ჩამოიცილეს მარიამ ქურდაძემ, მანანა შაფაქიძემ და სოფო ქვაცაბაიამ. გულშემატკივარი არც ერთს არ უნერვიულებია. სოფოს და რუსი ჟანა პანფილკინას შეხვედრის ბოლოს კი ტრიბუნებმა და იტალიელმა მსაჯმა ერთად იხალისეს. ქართველს პირველი სეტი 6:1 ჰქონდა მოგებული, მეორეს კი 5:2-ს იგებდა და რუსის მოწოდებაზე თერთმეტი მატჩ-ბოლი ვერ გამოიყენა. თავის მხრივ, პანფილკინაც არანაკლებ სცოდავდა. ქულის აღება მასაც თერთმეტჯერ შეეძლო, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. თავად განსაჯეთ, შვიდჯერ ორმაგი შეცდომის გამო დაისაჯა. მოკლედ იყო ერთი ამბავი. იტალიელი კი გაზუთხული ქართული სიტყვების „მეტ"-„ნაკლებ"-„თანაბარის" ძახებით დაიქანცა და რომ დაინახა, ამით ხალხს როგორ ამხიარულებდა, უფრო არტისტულად განაგრძო საქმე. ხოლო, როცა ბოლოს და ბოლოს ქვაცაბაიამ წერტილი დასვა, ყურებამდე გაბადრულმა მსაჯმა ნამდვილი ქართველივით გაიხარა.

გუშინდელი დღის ერთადერთი საწყენი ამბავი თეონა ცერცვაძის წაგება იყო. უკრაინელმა იულია კირიენკომ ჩვენებური აშკარად დაჩაგრა — 6:0 6:1. პირველი ბარიერი კიდევ ერთმა უკრაინელმა ლესია ცურენკომ და რუსეთის სახელით მოჩოგანე ლია ცანავამაც უპრობლემოდ დაძლიეს.

დღეს დაიწყება მეორე წრის თამაშები. ბორჯომის თასს შერჩენილი თექვსმეტი ჩოგბურთელიდან ცხრა ქართველია.

**ოთარ გაღლაძელიძე**

# პატარა დიდი მუშა

## ჟუსტინ ენინმა ქმარი დაკარგა და თავი იპოვა

**შარშან მარია შარაპოვასგან ფინალში გამწარებულმა ჟუსტინ ენინმა წლეულს მაინც აისრულა ოცნება და „ფლეშინ მედოუზზე" კარიერაში მეორედ იჩემპიონა. მაგრამ ეს გამარჯვება ჭინკა ბელგიელისთვის განსაკუთრებული გამოდგა, რადგანაც გზად შავდა უილიამსებს გაუმკლავდა და ფინალში კიდევ ერთ ვეშაპს სვეტლანა კუზნეცოვას გადაურბინა. ენინი საჩემპიონო ინტერვიუში ძირითადად ამაზე საუბრობს და თავისი წარმატება დიდად ეამაყება**



AFP ნიუ იორკიდან

**— ჟუსტინ, უიმბლდონს მოიგებთ?**

— ნამდვილად არ ველოდი, რომ პირველად ამას მკითხავდით...

**— ეს ხომ ერთადერთი სლემტურნირია, რომელიც ჯერ არ მოგიგიათ.**

— ვიცი, მაგრამ ახლა მომენტით ტკბობის საშუალება მომეცით. უიმბლდონი ახლა ძალიან შორსაა, იქამდე თითქმის ერთი წელია. ახლა მხოლოდ აქ მოპოვებულ წარმატებაზე შემიძლია ვიფიქრო. აქამდე მოგებული ტიტულებიდან ეს ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგანაც ბოლო დღეებში თამაშის გასაოცარი დონე ვაჩვენე. თანაც ძალიან ძნელი ბადე შემხვდა, რის გამოც ბევრი მეუბნებოდა, ფინალშიც ვერ გახვალო. მაგრამ მე ბევრი რამ მქონდა დასამტკიცებელი — უპირველესად ჩემთვის და არა სხვა ვინმესთვის ეს მოვახერხე კიდეც. ორი კვირა მართლაც უმაღლეს დონეზე ვიჩოგნავე და ეს მახარებს ყველაზე მეტად.

**— რა გავლენას ახდენს კორტსგარე ცხოვრება თქვენს შედეგებზე?**

— არ მინდა ამაზე ფიქრი. ახლა უბრალოდ ბედნიერი ვარ და სხვა არაფერი მანაღვლებს, მაგრამ ოჯახთან შერიგება უდავოდ დამეხმარა, პიროვნულად უფრო დავწყნარდი. ამისთვის მათი მადლიერი ვარ, რადგანაც ძლიერ მხარდაჭერას ვგრძნობ. ასე რომ, შეიძლება მათ მართლაც მოახდინეს გავლენა ჩემს თამაშზე, მაგრამ მე პროფესინალი ვარ და ყოველთვის ვახერხებდი, პირად ცხოვრებაში მომხდარი მოვლენები არ ასახულიყო თამაშზე.

**— წელი ძალიან ცუდად დაიწყო თქვენთვის (ქმარს ეყრებოდა), რის გამოც ავსტრალიის ღია პირველობა გამოტოვეთ. რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს წარმატება და რა როლი მიუძღვის მასში კარლოსს (იგულისხმება მისი მწვრთნელი კარლოს როდრიგესი)?**

— ეს მართლაც დიდი დღე იყო ჩემთვისაც და კარლოსისთვისაც, რადგანაც მხოლოდ ჩვენ ორმა ვიცით, რამდენად ძნელი წელი გვქონდა. ის მე ძალიან დამეხმარა, მუდმივად გვერდზე მედგა, განმსჯიდა და წინსვლისკენ მიბიძგებდა. ხანდახან სიმკაცრეს იჩენდა, მაგრამ ესეც საჭირო იყო. ის ძალიან ბედნიერია, ოჯახს რომ შევურიგდი და გაუხარდა, „როლან გაროსის" მოგება მათ რომ მივუძღვენი. აქ მოგების შემდეგ იმიტომაც მივედი მასთან და გადავეხვიე.

**— თქვენ არც ყველაზე მაღალი ხართ და არც ფიზიკურად ყველაზე ძლიერი, მაგრამ აქ და წლის დიდი ნაწილის განმავლობაში უძლიერესად გამოიყურებით. თან ამ ბოლო დროს უფრო ხშირად შემტევი სტილით თამაშობთ...**

— დიახ, ასეა, მაგრამ დაცვაშიც არაფერი მიჭირს, ძველებურად სწრაფი ვარ. მე ხომ ფიტნესის მშვენიერ სპეციალისტი მეხმარება ფორმის შენარჩუნებაში. დიდი გავლენა მოახდინა სწორად კვებამაც. ეს ყველაფერი წვრილმანია, მაგრამ ჩემი მომზადების განუყოფელი ნაწილია. ამიტომ ძალიან ვამაყობ იმით, რომ შეიძლება სიმაღლით არ გამოვირჩევი, მაგრამ უმაღლეს დონეზე ჩოგნაობას მაინც ვახერხებ. არცთუ ბევრს სჯეროდა, რომ ამას მოვახერხებდი. მხოლოდ კარლოსი მეჩიჩინებოდა ყოველდღე — შეგიძლია, მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდეო.

**— სვეტლანა კუზნეცოვამ თქვა, რომ ანგარიში არ ასახავს ფინალში ძალთა თანაფარდობას და უფრო დაძაბული იყავით, ვიდრე ჩანდა. რას იტყვით?**

— ვიტყვი, რომ ძალიან სტაბილური ვიყავი. ჩინებულად ვითამაშე გადამწყვეტი გათამაშებისას, მატჩს თავიდანვე ვაკონტროლებდი. მთელი შეხვედრის განმავლობაში არ მომკლებია აგრესია და მის მოწოდებაზე ბლომად ქულებს ვიღებდი. მან მაშინ დაუშვა შეცდომები, როცა ეს ყველაზე ნაკლებად შეიძლებოდა, მე კი მხოლოდ ბოლო გეიმის დროს ავნერვიულდი — აშშ-ს ღია პირველობის მოგებასთან ასე ახლოს ვიყავი და ამაკანკალა. მაგრამ ბოლო გათამაშება ბრწყინვალე სტილში მოვიგე და ამან დაადასტურა, რომ კორტზე საუკეთესო მე ვიყავი.

**— დღეს თითქოს ჩვეულზე აგრესიულად თამაშობდით და გათამაშებების სწრაფად დამთავრებას ცდილობდით...**

— საკმაოდ დავიღალე. ძალიან მძიმე ღამე მქონდა — მხოლოდ ოთხი თუ ხუთი საათი მეძინა. მეშინოდა, ეს ჩემს თამაშს არ დასტყობოდა, ამიტომაც ვცდილობდი, ყველა გათამაშების დროს აგრესიული ვყოფილიყავი და მეტოქისთვის მაქსიმალურად ინტენსიური თამაში შემეთავაზებინა. მისთვის ქულები იოლად თითქმის არ დამითმია და გამარჯვების ფორმულადაც ეს იქცა.

**— თქვენ ძალიან გინდოდათ უიმბლდონის მოგება. იქ ბრწყინვალე მეოთხედფინალური მატჩი გქონდათ სერენას წინააღმდეგ, მაგრამ შემდეგ აშკარად მოუქელით და მოულოდნელად შააგეთ. აქ კი ჯერ სერენა დაამარცხეთ, შემდეგ ვენუსი და არც ჩავარდნა გქონიათ. ამაზე რაღას იტყვით?**

— დიახ, უიმბლდონი დიდი იმედგაცრუება იყო, მაგრამ იმ დღეს მეტოქემ აშკარად მაჯობა და ამის აღიარება არ მიჭირს. ნახევარფინალში ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც დაღლილი გავედი და ამან თავისი გავლენა იქონია. იოლი სულაც არ არის მუდმივად უმაღლეს დონეზე გაჩერება. კარგად ვაცნობიერებ, რომ ჩავარდნებიც შეიძლება მქონდეს, ეს ჩოგბურთის განუყოფელი ნაწილია. მოვიგებ თუ არა როდისმე უიმბლდონს? ძნელი სათქმელია. ბალახზე უფრო ცუდად ვგრძნობ თავს, ვიდრე ჰარდზე. ისეთი ჩოგბურთელი ვარ, რომელსაც რიტმის პოვნა სჭირდება ხოლმე, რაც ბალახზე თითქმის წარმოუდგენელია. თუმც მგონია, რომ ერთხელ მინდორზეც მივაღწევ ჩემსას.

**— თიხნარზე ყოველთვის კარგად თამაშობთ — ეს თქვენი საფარია, მაგრამ ჰარდზე როდისმე გიგრძვნიათ თავი ისევე კომფორტულად, როგორც ახლა?**

— ჰარდზეც ყოველთვის კარგად ვგრძნობდი თავს. ამ საფარზეც ბევრი ტიტული მომიგია — იმდენი არა, რამდენიც თიხნარზე, მაგრამ მაინც. გრუნტზე კი ასე კარგად იმიტომ გამოვიყურები, რომ ამ საფარზე ვარ გაზრდილი. ჰარდზე თამაშიც მიყვარს, მაგრამ გრუნტზე უფრო ხშირად გამომდის აგრესიული და შემტევი ჩოგბურთი.

**— სერენამ ავსტრალიაში იმარჯვა, თქვენ საფრანგეთში, ვინუსმა კი უიმბლდონზე. აშშ-ში რომელიმე თქვენგანის გამარჯვება ფაქტობრივად წლის ჩოგბურთელის ტიტულის დაბევებას ნიშნავდა. ამაზე ფიქრობდით ნიუ იორკში ჩამოსვლისას?**

— ნაწილობრივ. საკმაოდ თვითდაჯერებული ვიყავი, რადგანაც წლეულს ისედაც დავამტკიცე, რომ ბევრი რამ შემიძლია. მაგრამ ვიცოდი, რომ სერენა და ვინუსი ფავორიტთა შორის იყვნენ, განსაკუთრებით ვინუსი. და ჩვენ ეს ყველას დავანახეთ ჩვენი მეოთხედფინალით, რაც, მგონი, ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული შეხვედრა იყო, რაც კარიერაში ჩამიტარებია.

ასე რომ, წლეულს ოთხი წლის წინანდელისა არ იყოს, საფრანგეთშიც ვიმარჯვე და ამერიკაშიც. ეს მართლაც ფანტასტიკაა. თან აქ სერენას და ვინუსს მოვუგე, მერე ფინალშიც უმაღლეს დონეზე ვითამაშე — ძნელია, ამან თავდაჯერება არ შემმატოს.

**— გამარჯვების შემდეგ კარლოსს მოეხვიეთ. იქ თქვენი ოჯახის წევრებიც ხომ არ იყვნენ?**

— არა. სახლიდან ნიუ იორკამდე შორი გზაა.

**— ოთხი წლის წინანდელი წარმატებები ახსენეთ. ახლა მაშინდელზე უკეთესი ჩოგბურთელი ხართ?**

— უდავოდ, ახლა გაცილებით სრულყოფილი ჩოგბურთელი ვარ. ოთხი წლით მეტი გამოცდილება მაქვს. გავიზარდე, როგორც პიროვნება, თუმც კუნთები მობერებულა. ვხუმრობ, რა თქმა უნდა, რადგანაც ფიზიკურად თავს მართლაც კარგად ვგრძნობ. დავამატებ მხოლოდ იმას, რომ ოთხი წლის წინადელისგან განსხვავებით, ახლა უფრო მეტ სიამოვნებას ვიღებ საკუთარი თამაშისგან, რადგან ვიცი, რომ დიდხანს ვერ დავრჩები ამ დონეზე. იმას არ ვამბობ, ორ-სამ წელიწადში მივატოვებ კორტს-მეთქი, მაგრამ ფაქტია, რომ ვერც 10 წელი გავძლებ. ამიტომ მოცემული მომენტით ვტკბები.

**— ქალთა ჩოგბურთის როჯერ ფედერერად გადაიქეცით?**

— ეგრე არ ვიტყოდი, როჯერი როჯერია. ის უნიკალურია. მის დონემდე ვერ მივალ, მაგრამ მეც სტაბილური მოთამაშე ვარ. იმედი მაქვს, ორივე დიდხანს დავრჩებით დღევანდელ სიმაღლეზე.

**— ნიუ იორკში ყველა ტოპმოთამაშე ჩამოდის. ეს მხოლოდ სლემტურნირის გამო ხდება, თუ გართობასაც ახერხებთ?**

— დღეს ნიუ იორკი მიყვარს, მაგრამ ხანდახან ის მძულს. ძალიან ბევრ ენერგიას მაცლის. ეს ალბათ უძნელესი სლემტურნირია, რადგანაც ნიუ იორკი გიჟური ქალაქია. ვერ ვეჩვევი მის რიტმს, თუმც წლეულს დიდებული ატმოსფერო იყო.

**— გეწყინათ, გამარჯვებისას თქვენი გვარი არასწორად რომ გამოაცხადეს ქმრის გვარიც მიაყოლეს და თქვეს — ჟუსტინ ენინ-არდენი?**

— არა. ეს ხომ ჩემი ცხოვრების ნაწილი იყო, ამიტომაც არ მწყენია.

# RUGBY WORLD CUP 2007

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყასაბი ვარდს ვერ დაყნოსავს

### სხალკ ბურხერს ხელები დაუმოკლეს



**სამხრეთ აფრიკის** ნაკრების ლიდერს და გამგლეჯს სხალკ ბურხერს მსოფლიოს თასის სადისციპლინო კომიტეტმა ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა და ზედაც კიდევ ერთთამაშიანი პირობითი სასჯელი მიაყოლა. „ქურციკთა“ ზვავივით საშიშარი 6 ნომერი მომდევნო მატჩს გამოტოვებს და თუ წესიერად მოიქცევა, შემდეგ შეხვედრაში ტონგასთან თამაშის ნებას დართავენ.

ბურხერი, ვისაც მეტსახელად „ყასაბს“ ეძახიან, სამოასთან მატჩში ზღვარგადასული უწესობისთვის დასაჯეს. მან დაკიდებული ბურთის დასაჭერად შემხტარი ჩია სამოელი ნახევარმცველი ჯუნიორ პოლუ კისერში შებოჭა და მოწყვეტილივით დაანარცხა მოედანზე. სამოელს მოსულიერება დასჭირდა. „ყასაბის“ თავხედობა კი მსაჯმა პოლ ჰონისმა არ ან ვერ „დაინახა“ და ბურხერიც მინიმუმ ათწუთიან გაძევებას გადაურჩა.

„მომენტი ვიდეოფირზე რამდენჯერმე გავარჩიეთ და ყველანი დავრწმუნდით, რომ ბურხერი ყვითელს კი არა, წითელ ბარათს იმსახურებდა. იგი ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დავსაჯეთ, ხოლო თუ ერთ დღეში მეტოქეს და ქომაგს რაგბის შეურაცხყოფისთვის ბოდიშს არ მოიხდის, კიდევ ერთი მატჩით დავსჯით. თუ ბურხერმა არ მოიხადა ბოდიში, მაშინ მის საკითხს კიდევ მივუბრუნდებით და მერწმუნეთ, სასჯელი უმკაცრესი იქნება“ — განაცხადა მსოფლიოს თასის სადისციპლინო კომისიის თავჯდომარემ დაგლას ჰანტერმა და თან დასძინა, რომ თავისი წილი შეცდომისთვის მატჩის მსაჯი პოლი ჰონისიც დაისჯება. სხვათა შორის, ჰონისმა სამოას უალალესი ლელო არ ჩაუთვალა მაშინ, როდესაც ანგარიში 21:7 იყო და პრინციპში, საკმაოდ თანაბან ჯახში სამოა მაგრად აწვებოდა სამხრეთ აფრიკას.

ერთი სიტყვით, ბურხერი მსოფლიოს თასზე მომდევნო მატჩს იძულებით გამოტოვებს, მაგრამ არ იკითხავთ, ვის ეთამაშებიან „ქურციკები“? ვის და მსოფლიოს ჩემპიონ ინგლისელ „ვარდებს“, ვისთანაც ჯგუფში პირველი ადგილისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ჯახი ექნებათ. არადა ჯგუფის სეფეგუნდობა დიახაც რომ აუცილებელია, რადგან პირველადგილოსანი მეოთხედფინალში ასცდება მძლავრ ავსტრალიას და სავარაუდოდ ბოლო დროს ცეცხლდაცლილ უელსელ „დრაკონებს“ შეხვდება.

**ბაჩო სვანიძე**

## ბერბიზიემ იტალიას და მსოფლიოს გადახედა



**იტალიის** ნაკრების სახელიანი ფრანგი მწვრთნელი პიერ ბერბიზიე ახალ ზელანდიასთან განადგურების შემდეგ რუმინეთის ნაკრებს გადახალისებულ შემადგენლობას გაუყვანს.

„ეს კოშმარი იყო, პირველივე ტაიმის დებიუტში უკვე 0:32 ვაგებდით და მერე აზრი აღარაფერს არ ჰქონდა. ჩვენ გვაქვს პრეტენზია, რომ სარაგბო ელიტაში ვიტრიალოთ, მაგრამ ასეთი თამაშით იქ არაფერი გვესაქმება“ — განაცხადა ბერბიზიემ.

იტალიელთა ფრანგი მწვრთნელი დღეს რუმინეთთან მატჩში ექვს ისეთ მორაგბეს ათამაშებს, „ოლ ბლექსთან“ რომ არ ჰყოლია.

ნახევარდაცვის ტანდემს ტომით ახალზელანდიელი პოლ გრიფინი და გაიტალიელებული არგენტინელი რამირო პეცი შექმნიან და როლანდ დე მარინის და ალესანდრო ტრონკონს შეცვლის. წარმოშობით არგენტინელი გონსალო კანალე შუამარბ ანდრეა მასის მაგივრად დადგება, ტომით ტონგელი ჯოშ სოლე შერკინების მესამე ხაზს გაამაგრებს, ხოლო შერკინების ბურჯები — ანდრეა ლო ჩიჩერო და კარლო ფესტუჩია სათადარიგოებიდან ძირითად რაზმში დაწინაურდნენ.

ბერბიზიე შეგირდებთან ერთად მსოფლიოს თასის ორგანიზატორებსაც შემოსწყრა, რაკი ჯგუფური ეტაპის განრიგი არ მოეწონა: „ჩვენ ერთადერთი ნაკრები ვართ, რომელმაც თერთმეტ დღეში სამჯერ უნდა ითამაშოს. რაგბი ტრავმიანი სპორტია და ასეთ რეჟიმში არაადამიანურ ფიზიკურ მოშზადებას საჭიროებს. ახლა უკვე ვერაფერს შევცვლით, ჩვენი საფიქრალი რუმინეთთან პრემიალური ქულით მოგება და შოტლანდიის რამენაირად დამარცხებაა.“

თუ იტალიაში რუმინეთმა შოტლანდია დაამარცხა, რაც სულაც არ იქნება ხმაურიანი სენსაცია, ერთადერთ დებიუტანტ პორტუგალიასაც მოერევა და მსოფლიოს თასების ისტორიაში პირველად გავა სამეოთხედფინალო რვეულში.

**ბაჩო სვანიძე**

## უილკო ვერა, ვიკერი არა





**ინგლისელთა** კაპიტანმა ფილ ვიკერიმ შეიძლება გამოტოვოს ჯგუფის უმნიშვნელოვანესი მატჩი სამხრეთ აფრიკასთან. საქმე ისაა, რომ აშშ-სთან შეხვედრაში ვიკერი თავს დაესხა იანკების შუამარბ პოლ ემერიკს, რაც მატჩის არბიტრმა ოპერატიულად ვერ შეამჩნია. შეხვედრის განმეორებით ნახვის შემდეგ კომპეტენტურმა ორგანოებმა ვიკერის საქმე სადისციპლინო კომისას წარუდგინეს და ამით კაპიტნის ინგლისის უპრინციპულეს ჯახში მონაწილეობა საეჭვო გახადეს.

ისევ ბურუსითაა მოცული „ვარდების“ დამრტყმელ ჯონი უილკინსონის ბედი. უილკოლ მეტოქეების მაგივრად წვივის ტრავმას „ებრძვის“ და როდის დადგება ფეხზე კონკრეტულ თარიღს ექიმებიც ვერ ასახელებენ.

**ზურაბ მიზრიაული**

## იუსტი, როგორც ბიუსტი

### შტეინი თბილისიდან დაფინაშურდა



ფრანს შტეინი

**„ქურციკების“** 20 წლის ჯეელი უკანახაზელი ფრანს შტეინი ინგლისთან ჯგუფური ეტაპის გადამწყვეტ მატჩში ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. „ქურციკების“ მწვრთნელი ჯეკ ვაიტი უნივერსალ უკანახაზელს შუამარბად დააყენებს. შტეინი სამოასთან ტრავმირებულ იან დე ვილერს შეცვლის.

შტეინი მეორედ ითამაშებს შუამარბად, 20 წლის ამომავალმა ვარსკვლავმა უკანა ხაზის ცენტრი პირველად ივლისში შოტლანდიასთან ტესტ-მატჩში გაამაგრა.

„შტეინი ძალიან სასარგებლო მოთამაშეა, მას უკანა ხაზის ნებისმიერ პოზიციაზე თანაბრად კარგად შეუძლია თამაში. სამოასთან შეცვლაზე შევიდა, მაგრამ მცირე დროშიც კი მოასწრო ხალხის განცვიფრება და შედეგიანი რაგბობა. თანაბარ კვეთებაში მან რამდენჯერმე გონივრულად შეუტია უტეხ სამოელებს და დაცვის ხაზი დაუსერა, რის შემდეგაც მისმა თანაგუნდელებმა ეს ნაპრალები გააფართოვეს და მანამდე რომ წვალობდნენ, მერე ლელოების ქარიშხალი დაატეხეს მეტოქეს.

„რაც მთავარია, შტეინი დაცვაშიც საიმედოა და ინგლისთან მატჩში ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა დაიმსახურა“ — განაცხადა ჯეკ ვაიტმა.

ჩვენ კი ვთქვათ, რომ 2004 წელს მთლად უწვერული ყმაწვილი ფრანს შტეინი პრეტორიის „ბლუ ბულზს“ ახლდა თბილისურ ტურნეზე.

და ერთი ინფორმაციაც, ინგლისთან ჯახი სამხრეთ აფრიკას უგამოცდილესი მცველის პერსი მონტგომერისთვის 89-ე სანაკრებო იქნება. ამით მონტგომერი სამხრეთ აფრიკის ისტორიაში ყველაზე მეტი კეპის მომხვეჭ ლეგენდარულ იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენს გაუტოლდება.

**ბაჩო სვანიძე**

RUGBY WORLD CUP 2007

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

საქართველოს ნაკრების თამაშებს
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## არგენტინა 3:33 საქართველო

ლიონი. სტად ჟერლანი. 42 000 მაყურებელი. მსაჯი: ნაიჯელ ოუენსი (უელსი)

# ასწიეთ თავები!

0:3 (კვირიკაშვილი, 4), 3:3 (კონტეპომი, 11), 6:3 (კონტეპომი, 35),
11:3 (ბორხესი, 47), 13:3 (კონტეპომი, 48), 16:3 (კონტეპომი, 54),
21:3 (ბორხესი, 56), 26:3 (ალბასეტე, 69), 31:3 (მარტინი, 79), 33:3 (კონტეპომი, 80)

არგენტინა: კორლეტო, ბორხესი, ტიესი, ფ. კონტეპომი (კაპ), მარტინი; ერნანდესი, მირანდა; ლეგუიზამონი, ხ. ლობე, დურანდი, ალბასეტე, კაირელისი, ბონორინო, ლედესმა, აიერზა
სათადარიგოები: ბასუალდო, ჰასანი, ლოსადა, შუსტერმანი, სენილოზა, ტოდესკინი, სერა
მწვრთნელი: მარსელო ლოფრედა
4 ლ: ბორხესი (2), ალბასეტე, მარტინი; 2 გ: კონტეპომი; 3 ს: კონტეპომი
საქართველო: ჯიმშელაძე, მაჩხანელი, ურჯუკაშვილი, ი. გიორგაძე, ხამაშურიძე; კვირიკაშვილი, აბუსერიძე; უდესიანი, ლაბაძე, ჩხაიძე, გორგოძე, ზედგინიძე (კაპ), ზირაქაშვილი, ა. გიორგაძე, ხინჩაგაშვილი
სათადარიგოები: შველიძე, კოპალიანი, დიდებულიძე, ზ. მაისურაძე, სამხარაძე, გიგაური, შკინინი
მწვრთნელი: მალხაზ ჭეიშვილი
1 ს: კვირიკაშვილი



ესეც პირველი თამაში, პირველი ომი და კვეთება. ჩვენთვისაც დაიწყო მსოფლიოს თასი. არგენტინასთან ქართველთა გამარჯვების იმედი მხოლოდ რაგბიში ჩაუხედავ ოპტიმისტებს (თუ მაქსიმალისტებს) ჰქონდათ, თავად მორაგბეები კი მოედნიდან ღირსეული სახით გამოსვლაზე ფიქრობდნენ.

„აქ მარტო ნამიბიის მოსაგებად არ ჩამოვსულვართ. ჩვენ მსოფლიოს თავი უნდა დავამახსოვროთ და ყველას ვეომოთ" — კაპიტანი ილია ზედგინიძე 30-კაციანი გუნდის ერთსულოვან განწყობას ახმიანებდა ამ სიტყვებით.

ეომნენ!

„არგენტინასთან ალბათ წავაგებთ, მაგრამ სისხლს გავუშრობთ, მისხალ მონაკვეთსაც არ დავუთმობთ!"

სისხლიც გაუშრეს და დაადინეს კიდეც!

ჩვენ და მსოფლიომ ვნახეთ ქართველთა გუნდი, რომელიც ძლიერ და გამოცდილ მოწინააღმდეგეს თავგანწირვით უვარდებოდა ფეხებში, ხელებს ამტვრევდა, ბურთს ართმევდა და ხელით, ფეხით, გულით, მთელი სხეულით იცავდა საკუთარი ლელოს მისადგომებს.

მთელი პირველი ტაიმი, მთელი 40 წუთი 15 ქართველი იდგა ერთსულ და ერთხორც.

ისინი არ თამაშობდნენ, ისინი ომობდნენ და რამდენჯერ ზედ ხაზიდან გამოათრიეს ჯიქურ მოსული მოწინააღმდეგე. მხოლოდ ერთი ზუსტი დარტყმით, მხოლოდ ერთი საჯარიმოთი ჩამორჩნენ მოწინააღმდეგეს და ეს უკვე დიდი გამარჯვება იყო — 3:6 არგენტინასთან ერთი ტაიმი? მსოფლიოს უძლიერეს გუნდთა ჩემპიონატში უკეთეს დასაწყისს მხოლოდ ინატრებ.

მაგრამ!..

რაგბი თამაშია და არგენტინას თამაში ქართველებზე უკეთ რომ გამოსდის, ეს დაგვანახა პირველის მომყოლმა მეორე 40-წუთეულმა. როცა ძალა ვერ კვეთს, იქ ხერხმა უნდა გაიტანოს. არგენტინამაც ოთხი ლელო გაიტანა და პრემიალური ქულაც აგვართვა. „პუმებს" ჰყავდათ უკეთესი გამთამაშებელი, უკეთესი გარემარბები, უკეთესი დამრტყმელი... რაღა ბევრი გავაგრძელოთ...

მერაბ კვირიკაშვილს ძალიან უნდოდა, რომ არ ენერვიულა. მაგრამ განა იოლია?! მას რომ ათი მეტრით შორს მოეგერიებინა ხოლმე ბურთი, გუნდიც ამოისუნთქებდა და 2-3 სალელოვე შეტევის მაგივრად „ლელოებს" 7-8 ექნებოდათ. იქნებ გაეტანათ. აბა, ეს იქნებოდა, თუ იქნებოდა!..

მეორე ტაიმში ერთ ეპიზოდში საკუთარ ჩათვლის მოედანში კვირიკაშვილმა აუტში მოგერიების ნაცვლად, იქვე გვერდით მაჩხანელს მისცა პასი. „სად მაძლევ..." რომ შებოჭეს, არა საყვედურით, არამედ იმედგაცრუებით წამოსცდა ირაკლის... ჯგლერთაშიც მოჰყვები და კუნთმაგარი მოწინააღმდეგეც გამოიწევს შენზე, მაგრამ გონება სულის სიღრმეში შენახული ყინულით უნდა გააგრილო და ფეხიც არ უნდა აგიკანკალდეს — ესაა რაგბი.

და მაინც, როგორი დასაწყისი იყო?! თამაშში ქართველების შეტანილი ბურთი არგენტინელებს რომ გაუვარდათ და ძლიერი მოწინააღმდეგისაგან ყოველგვარი მორიდების გარეშე მიძალებული ჩვენებურები ლელოსთან სანტიმეტრებში აღმოჩნდნენ. სალელოვე შეტევას გუნდმა ჯარიმის დარტყმა და უეჭველი სამი ქულის აღება არჩია. კვირიკაშვილმა გაიტანა და ლელოები 3:0 დაწინაურდნენ.

ქართული ეპიზოდებიდან კიდევ ერთს გაიხსენებ კაცი: საკუთარ ნახევარზე გმირული თავდაცვის 20 წუთის შემდეგ, დაახლოებით 26-ე წუთზე ქართველები მეტოქის ნახევარზე გადავიდნენ და არგენტინულ ლელოსთან 5 მეტრში აუტი მოიპოვეს, მოიგეს და მიეძალნენ.

უნდა გასულიყო ეს ლელო! უნდა გაეტანათ ქართველებს...

დაიკარგა ბურთიც და შანსიც...

მეორე ტაიმში თამაში უფრო გაიშალა და რამდენჯერმე ქართველებიც გაიჭრნენ ფლანგზე...

მათ შეასრულეს დანაპირები — იომეს. კარგი იქნებოდა, ლელოც გამოეტანათ ამ ომიდან.

**ირაკლი ფირცხვილი**

### პოპულარული სარაგბო ვებგვერდ www.planetrugby.com-ის აზრით:

**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** ეს ჯილდო შეიძლება მიანიჭო არა რომელიმე მოთამაშეს, არამედ მთლიანად საქართველოს ნაკრებს... შეიძლება ბესო უდესიანის დასახელება, რომელიც შერკინების ბოლოს ამაგრებდა და მისი ხელი იგრძნობოდა მთლიანად მოედანზე... ასევე ფრთა ირაკლი მაჩხანელიც სოლიდური იყო დაცვაშიც და შეტევაშიც... მარიო ლედესმამ კიდევ ერთი მძლავრი თამაში ჩატარა არგენტინის ნაკრებში, ისევე, როგორც ყინულივით ცივი გონების მქონე ფელიპე კონტეპომიმ, მაგრამ ჩვენ მატჩის მოთამაშედ ვასახელებთ **ხუან მარტინ ერნანდესს**, რომელმაც ბოლოს და ბოლოს გატეხა ქართველთა წინააღმდეგობა — ასე ჭკვიანური, ასე თავდაჯერებული იყო მისი თამაში.

**მატჩის გამორჩეული ეპიზოდი:** **ქართველებს** უამრავი დასამახსოვრებელი მომენტი ჰქონდათ, როცა თავს იცავდნენ და ცდილობდნენ, არ „მომკვდარიყვნენ". ჩვენ ამათ შორის ერთი ავარჩიეთ: მეორე ტაიმის დასაწყისში მათ გმირულად გამოტეხეს დაცვა და შეეცადნენ, შეტევაში წაელეკათ არგენტინელები. ოჰ, როგორ გიყვდება მაყურებელი ასეთ რამეზე!

**მატჩის ყველაზე ბინძური ეპიზოდი:** საქართველოს ნაკრების მეორეხაზელმა **მამუკა გორგოძემ** „ხელები ჯიბიდან ამოიღო" და ერთი-ორჯერ ჩხუბის ატეხვა სცადა, მაგრამ არავინ აჰყვა. ვინ აჰყვებოდა? ეს კაცი ნამდვილი გიგანტია.

| | თ | მ | ფ | წ | სხ | ბონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 2 | 2 | 0 | 0 | +45 | 1 | 9 |
| ირლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | +5 | 1 | 5 |
| საფრანგეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -5 | 1 | 1 |
| საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | -30 | 0 | 0 |
| ნამიბია | 1 | 0 | 0 | 1 | -15 | 0 | 0 |

IRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

# RUGBY WORLD CUP 2007

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

# გუშინ, ვარდების რევოლუციის მოედანზე...

## ბადრი ქეთილაძის ფოტორეპორტაჟი















სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი ქეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარაშვილი, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი.
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge